საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 აპრილი, 2014 წელი.

№80 (7461)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

არ გაინტერესებთ, რა უთხრა სააკაშვილმა გზიდან მობრუნებულ ბარამიძეს?!

4

გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ფოტოების გავრცელების შემდეგ, პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბარა ყველა — ექსპერტიდან დაწყებული ყოფილი პრეზიდენტით დამთავრებული. როგორ ფიქრობთ, რატომ აქამდე არ დააკავეს ექსპერტი ლევან ჩაჩუა, თუ ეს ფოტოები ჟვანიას საქმეში მანამდეც იდო?

8 პირობები საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისთვის

ანტიპიარი, უცოდინრობა, თუ ხალხის 6 უგულებელყოფა?!

საბჭოეთის დაშლით გამოწვეული თავის ტკივილი

5

ვინ მოიგო და ვინ წააგო 3 კიევის „მაიდნით“?

უცხოური პრესიდან

ანდრეი კარაულოვი:

დარწმუნებული ვარ, პრემიერ ჟვანიას, ჩემი ამხანაგის, მკვლელობა მისი (სააკაშვილის) საქმეა

„არგუმენტი ი ფაქტი“ დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთია (2244058). ვრცელდება მთელ მსოფლიოში (საქართველოში ქართული ჩანართით იბეჭდება). ბოლო, აპრილის ნომერში (№ 17) რუბრიკით — „გულახდილად პირადულზე“ დაბეჭდილია ცნობილი რუსი ჟურნალისტისა და ტელეპროგრამა „ძეშმარიტების მომენტის“ ავტორის ანდრეი კარაულოვის ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც იგი პირველად უპასუხებს გულახდილად კორესპონდენტის ბევრ „უხერხულ“ კითხვას. ქვემოთ გთავაზობთ გაზეთის კორესპონდენტის ერთ-ერთ კითხვაზე ანდრეი კარაულოვის ერთ-ერთ პასუხს.

— თქვენზე ამბობენ, რომ ხშირად იცვლით აზრს, როგორც ფლუგერი, „ადვილად ეხამებით პოლიტიკურ სიტუაციას“. სწორედ ამაში გდებენ ბრალს. აი, მარტო ერთი მაგალითი. თქვენ დიდი ხნის მანძილზე ლაპარაკობდით: საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი ჩვენი მეგობარიაო. ამჟამად კი ეს „ნიუ-იორკელი ბიჭუნა“ „კაცაპების“ წინააღმდეგ კონსულტაციებს უწევს „ნარინჯოვან პრინცესას“ ტიმოშენკოს. ახლა უკვე სააკაშვილის წინააღმდეგი ხართ.

— თბილისში სააკაშვილი მიჩვენებდა თავის კაბინეტთან შეერთებულ ოთახს ადმინისტრაციაში: „მინდა, რომ ჩემ გვერდით იყოს რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის კაბინეტიო“. ეს იყო ათი დღის შემდეგ პირველი ინაუგურაციიდან. რა მოუვიდა შემდეგ, საიდან გაუჩნდა მოულოდნელად ასეთი რომანი ბუშ-უმცროსთან? ამის შესახებ მხოლოდ მკითხაობა შემიძლია. არ არის საინტერესო ეს თემა. სააკაშვილი, პრეზიდენტი, ნაძირალა გამოდგა — რას ვიზამთ, ასეა ეს ახლა. დარწმუნებული ვარ: პრემიერ ჟვანიას, ჩემი ამხანაგის მკვლელობა, — მისი საქმეა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

26 მაისის ღონისძიებების საორგანიზაციო კომისიას ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვარლამ ავალიანი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი, მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაია ბიგვავა, მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ჩხენკელი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა ასევე ეთხოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ზვიად ძიძიგურს. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებიც ჩაერთვენიან.

ბიძინა ივანიშვილი არსად არ მიდის!

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა. მისი თქმით, სპეკულაციები მიდის იმის თაობაზე, თითქოს ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან მიდის, ბიზნესს ყიდის და ა.შ.

— მე მინდა ძალიან მარტივად ამ ადამიანებს განვუმარტო, ბიძინა ივანიშვილი არა თუ მიდის, არამედ საქართველოში დარჩა, როდესაც ყველაზე რთული, სახიფათო და სარისკო იყო მისთვის დარჩენა მაშინ ქვეყანაში, მაგრამ მან ეს გააკეთა, დარჩა და შეასრულა ის, რასაც ვერავინ ვერ შეასრულებდა. ეს არის რეალობა, რომელსაც ყველამ უნდა გავუსწოროთ თვალი და ვაღიაროთ ყოველთვის, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ვინც არის ქვეყნიდან გაქცეული „ჩვენ ძალიან კარგად ვუყურებთ“.

— ეს არის მათი ლიდერი, 6%-იანი პარტიის ლიდერი, ბატონი საакაშვილი, რომელიც რაღაც საოცრებებს გადასცემდა სკაიპით, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, გუშინ მიხეილ სააკაშვილი დიდგულად გამოიყურებოდა. პრემიერმა მოუწოდა სააკაშვილს, ჩამობრძანდეს და აქედან ელაპარაკოს ხალხს იმ საშინელ დანაშაულზე, რომელიც 9 წლის განმავლობაში მისმა ხელისუფლებამ ჩაიდინა.

◎ ცხოვრების დონე

ხელფასიც ცოტაა და დასაქმებულიც

საქართველოში ყველაზე დიდ პრობლემად ისევ და ისევ დასაქმება და საშუალო ხელფასია. ამას უკვე მთავრობის დიდმოხელეებიც დაუფარავად აღიარებენ. მაგალითად, ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, საქართველოში რეალურად, ხელფასს სამუშაო ძალის დაახლოებით 35% იღებს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

ქვეყანაში არსებული უმუშევრობის პრობლემის მოგვარების თაობაზე საუბრისას ფინანსთა მინისტრმა აღიარა, რომ დასაქმება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა და იქვე არასასიამოვნო სტატისტიკა მოიყვანა.

„ოფიციალურად, საქართველოს მოსახლეობის 15% უმუშევარია. მე უფრო უარესსაც გეტყვით: ქალაქის მოსახლეობის 26% უმუშევარია და სოფლად ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია, მაგრამ თვითდასაქმებულთა ხარჯზე, ანუ რეალურად თუ ვიტყვით, ხელფასს იღებს სამუშაო ძალის, დაახლოებით, 35%.

ერთ-ერთი მიზანი, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაისახა, არის ის, რომ ეკონომიკური ზრდა ინკლუზიური უნდა იყოს, ანუ უნდა მოიცავდეს ყველას და, მათ შორის, ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური პირობების გაუმჯობესება. და ეს მიღწეულ უნდა იქნას არა მხოლოდ სოციალური დახმარებებით, არამედ იმით, რომ შეიქმნას გარემო, რომელიც დასაქმებას ხელს შეუწყობს“, — განაცხადა მინისტრმა.

„ჩვენ საკმაოდ სერიოზული, ამბიციური პროექტები გვაქვს ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სფეროებში, რამაც თავისთავად ცხადია, უმუშევრობის შემცირება უნდა გამოიწვიოს. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ამ პრობლემის დარეგულირებისკენ მივდივართ“, — აღნიშნა ხადურმა.

ერთი მხრივ რთული მდგომარეობაა დასაქმების თვალსაზრისით, მაგრამ სახარბიელო ვითარებაში არც დასაქმებულები არიან, რადგან შრომის ანაზღაურება დაბალია, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არ უმჯობესდება.

სტატისტიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე ამბობს, რომ ბოლო წლებში საქართველოში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი ქვეყანაში ნომინალური მშპ-ს ზრდას უსწრებდა ორჯერ და ცალკეული წლების მიხედვით, ორ-ნახევარჯერაც. ზრდა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ თუ ხელფასტევადობის ჩვენს მაჩვენებელს ევროპისას შევადარებთ, ის საკმაოდ დაბალია. მაგალითად, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტია. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი კი 40 პროცენტს აღემატება.

„აქ პრობლემაა არა ის, რომ ქვეყანაში აღარ არსებობს ხელფასების შემდგომი ზრდის რესურსი, არამედ ის, რომ ხელფასის საშუალო სიდიდის ზრდას არ მოჰყოლია დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. ქვეყანაში ძალზე მცირეა ხელფასის მიმღებთა რაოდენობა. მაგალითად, ამერიკასთან შედარებით ჩვენთან ყოველ 1000 ადამიანზე დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა 3-ჯერ დაბალია. შესაბამისად, ეს გავლენას ახდენს კეთილდღეობაზე და მთავარი უკვე არა საშუალო ხელფასია, არამედ ის თუ რამდენია დასაქმებული. თუ 9-სართულიან კორპუსში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, მისი ხელფასი რომ გავანაწილოთ კორპუსის მცხოვრებლებზე, ის ძალიან მცირე გამოვა, ამიტომ, სჯობს, თითო სართულზე თითოს მაინც ჰქონდეს ხელფასი“, — ამბობს სოსო არჩვაძე.

არც ისე დიდი ხნის წინ ვებპორტალმა „ვედომოსტიმ“ დსთ-ის ქვეყნებსა და საქართველოში საშუალო ხელფასები გამოიკვლია, რომელიც ოფიციალური მონაცემებს ეყრდნობა. მათი ინფორმაციით, შრომის ანაზღაურების კუთხით რუსეთი ლიდერობს, მოსახლეობა საქართველოსთან შედარებით ორჯერ მეტ ხელფასს იღებს (ქართულ ვალუტაზე გადაანგარიშებით 1 თვეში 1500 ლარს). მეორე ადგილზე ყაზახეთია (1 თვეში 1200 ლარით), მესამეზე ბელორუსია (1 თვეში საშუალოდ 1000 ლარი).

მეზობელ აზერბაიჯანში 1 თვის საშუალო ხელფასი 885 ლარია, მეხუთე ადგილზე მყოფ საქართველოში კი, შრომის საშუალო ანაზღაურება დაახლოებით 770 ლარს შეადგენს. ჩვენ ჩამოგვრჩება უკრაინა, სომხეთი და მოლდოვა.

აღსანიშნავია, რომ ხელფასების ყველაზე სწრაფი ზრდა (წლიური 38,5%) ბელორუსში დაფიქსირდა, რაც, ანალიტიკოსების აზრით, ქვეყანაში მაღალი ინფლაციის შედეგია.

ბექა დანელია

◎ მხარე

როგორ უნდა განვითარდეს აგროტურიზმი სამცხე-ჯავახეთში?

ტურისტული სეზონის დადგომასთან ერთად სამცხე-ჯავახეთში იზრდება სტუმართა რაოდენობა. საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ახალციხის ციხეში წელს დამსვენებლებს მთელი მსოფლიოდან ელოდებიან. გუჯა ბიჭაშვილის განმარტებით, ციხის ტერიტორიაზე დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, რაც ტურისტების მოზიდვას ხელს შეუწყობს. ციხის დირექტორი განმარტავს, რომ, იანვრიდან აპრილის ჩათვლით, ისტორიულ ტერიტორიას 5674 ადამიანი ესტუმრა და ციხის ბიუჯეტში 26 094 ლარი შევიდა. გუჯა ბიჭაშვილი იმედოვნებს, რომ ტემპერატურის მატებასთან ერთად მათი რიცხვი გაიზრდება.

ტურიზმის განვითარებისთვის რეგიონში არსებულ ინფრასტრუქტურას რომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ამაზე სამცხე-ჯავახეთში ტურისტულ სფეროში მომუშავე კომპანიის მფლობელები საუბრობენ. „მესხეთის ტურის“ მეპატრონის თქმით, დამთვალიერებელი რეგიონში რომ კვლავ ჩამოვიდეს, მას კარგი პირობები უნდა დახვდეს. საფარის, ჭულეს, ზარზმისა და სხვა მსგავსი მნიშვნელოვანი ძეგლები ტურისტთა ყურადღების მიღმა სწორედ გზის პრობლემის გამო რჩება. ამიტომ გიორგი ნათენაძე ამბობს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით აქტიურად უნდა იმუშაოს.

გიორგი ნათენაძის მსგავსად ფიქრობს საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის თავმჯდომარე. ნუგზარ თათეშვილის თქმით, სამცხე-ჯავახეთში ტურისტების მოსაზიდად მხოლოდ სავალი გზის მოწესრიგება საკმარისი არ არის. მისი მტკიცებით, გზებზე სასმელი წყლისა და საპირფარეშოების არარსებობა, სავაჭრო ცენტრებში კი არასახარბიელო მომსახურება ვიზიტორზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ნუგზარ თათეშვილი საგზაო ნიშნულების უქონლობაზეც ლაპარაკობს. მისი თქმით, ტურისტი დანიშნულების ადგილამდე სხვის დაუხმარებლად უნდა მივიდეს.



გაეროს მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური კომპანიის კოორდინატორის ბექა ჯაყელის აზრით, სამცხე-ჯავახეთში ყველაზე მეტად კულტურული ტურიზმი, სოფლის ტურიზმი და სამთოსათხილამურო ტურიზმი შეიძლება განვითარდეს, რისთვისაც დამწყებ მეწარმეებს უნდა შეეწყოთ ხელი.

ტურიზმის განვითარება რომ სამცხე-ჯავახეთისთვის მნიშვნელოვანია, ეს მხარის გუბერნატორსაც კარგად ესმის. აკაკი მაჭუტაძის თქმით, ხელისუფლება ამ კუთხით მუშაობს და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასაც აპირებს. გუბერნატორი ირწმუნება, რომ სამცხე-ჯავახეთის მხარეში აგროტურიზმი ტურისტებისათვის საკმაოდ მიმზიდველია. „სწორი მარკეტინგით რეგიონში შემოსავლის წყარო გაჩნდება“, — ამბობს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას აგროტურიზმის მნიშვნელობა კარგად ესმის, „ტენილი ყველის“ მწარმოებელი კომპანია უსახსრობის გამო მუშაობას მაინც აჩერებს. „მზიანეთი“ ინვესტორს ეძებს. დამფუძნებელი აღნიშნავს, რომ საწარმო, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში „ტენილი ყველის“ წარმოების გარდა, აგროტურიზმის განვითარებაზეც ზრუნავდა, ვიზიტორებს კი საშუალება ჰქონდათ ადგილზე გასცნობოდნენ „ტენილი ყველის“ წარმოებას, კუთხურ სამზარეულოს და „მესხური ოდაც“ დაეთვალიერებინათ. „მზიანეთის“ მფლობელი ემზარ ჯვარიძე ამბობს, რომ ყველის წარმოებასთან ერთად კომპანიამ აგროტურებიც შეაჩერა.

მაია იველაშვილი

◎ ინფორმაცია

გოგი თოფაძე და თამაზ ავდალიანი ბიზნესში წილების ფლობას უარყოფენ

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თოფაძემ განუცხადა, პარლამენტში შესვლის შემდეგ, ყველა ობიექტი შვილს გადააბარა და იურიდიულად მას გადაუფორმა.

— ამ შემთხვევაში საუბარია „ყაზბეგი ნაყინზე“ და „ყაზბეგი — 2005“-ზე. ეს ორივე ფირმა 15 წლის წინათ არის გაუქმებული. ჩემი მოადგილე ყოველთვის ჩემი შვილი იყო. ახლა ის გენდირექტორია და ყველაფერი გადაფორმებული მაქვს შვილზე. ნებისმიერ დაიტერესებულ პირს შეუძლია, ნახოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. „ყაზბეგი ნაყინი„ ნაყინის მწარმოებელი პატარა ქარხანა იყო, რომელიც კახეთში გაიხსნა. ერთი სეზონი იმოქმედა — 1997 თუ 1998 წელს და ამის შემდეგ გაუქმდა. მას არც ბრუნვა აქვს და არც მისი ადმინისტრაცია არსებობს. ძალიან ცოტა ხანს მოქმედებდა „ყაზბეგი — 2005“. ვამზადებდით შამპუნს და ესეც დამთავრებულია. მოქმედებს დაახლოებით 14 ფირმა — ეს არის ქარხნები, სასტუმროები, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, სამონადირეო მეურნეობა და ეს ყველაფერი მართვაში გადაცემულია ჩემს ვაჟიშვილზე, რომელიც ჩემი მოადგილე და მოწილე იყო. ეს კანონით მიღებულია, — განაცხადა გოგი თოფაძემ.

ბიზნესში წილების ფლობას უარყოფს უმრავლესობის კიდევ ერთი წარმომადგენელი თამაზ ავდალიანი. მისი თქმით, ფირმა, რომელშიც წილი ჰქონდა, სადღეისოდ არ არსებობს.

— მქონდა ფირმა, რომელიც დაფუძნებული იყო 2010 წელს. მან სულ ორი ოპერაცია ჩაატარა და ამის მერე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. მოგეხსენებათ, ფირმის რეგისტრაცია ერთ დღეში ხდება, ხოლო ლიკვიდაცია პრობლემაა. პარტნიორი გერმანიის მოქალაქეა და ამის გამოც შეფერხდა ფირმის გაუქმება. ის 2013 წლიდან ჩემს სახელზე არ არის და შესაძლებელია იმის გადამოწმება, რომ რაც დეპუტატი ვარ, არანაირი სამეწარმეო საქმიანობა მას განხორციელებული არ აქვს და არ ფუნქციონირებს, — განაცხადა თამაზ ავდალიანმა.

ამასთან, დეპუტატის თქმით, მან „საერთაშორისო გამჭირვალობას“ მიაწოდა დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ სადღეისოდ მასზე არაფერია რეგისტრირებული.

—„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“-მ ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, პარლამენტის 43 წევრს (ან მისი ოჯახის წევრს) 2012 წლის ოქტომბრიდან ჰქონდა, ან ისევ აქვს ბიზნესაქტივები. მათგან 28 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, ცხრა კი — საპარლამენტო უმცირესობის, ხოლო ექვსი არც ერთს არ ეკუთვნის. გარდა ამისა, ამ პარლამენტარებიდან სამი — ზვიად კვაჭანტირაძე, გიორგი თოფაძე, თამაზ ავდალიანი აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც არა მარტო წილები აქვთ ან ჰქონდათ ბიზნესში, არამედ კომპანიის დირექტორებიც იყვნენ პარლამენტში საქმიანობის პარალელურად.

ინტერპრესი

ვინ მოიგო და ვინ წააგო კიევის „მაიდნით“?

ვინ რა მოიგო და ვინ რა წააგო კიევის „მაიდნით“? რუსეთმა უფრო ისეირა თუ ამერიკამ? გადაჭრით მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება – წააგო უკრაინის მოსახლეობამ და, უწინარესად, უკრაინელმა ხალხმა. შეიარაღებული გადატრიალების შედეგად, რასაც 100 ადამიანი ემსხვერპლა, იანუკოვიჩის კორუმპირებული ხელისუფლების ნაცვლად მან მიიღო რუსეთთან და რუსებთან (სლავ ძმებთან!) გადამტერებული მოფაშისტონაციონალისტური, ამერიკის მიერ შერჩეულ-დაფინანსებული ხელისუფლება. გაიხსენეთ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ვიქტორია ნიულენდის და უკრაინაში ამერიკის ელჩის ჯეფრი პაიეტის გახმაურებული სატელეფონო საუბარი, სადაც ისინი უკრაინის მომავალ ხელისუფლებაში დასანიშნ(!) კანდიდატურებს განიხილავდნენ.

<u>ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც კიევის მოვლენებში აბსოლუტურად ჩაუხედავი, როგორც კი გაიგებს, რომ „მაიდანს“ და მის ლიდერებს გვერდში სააკაშვილი ედგა თავისი ნაცებით, უმალ მიხვდება, თუ რა ხასიათის გადატრიალება განხორციელდა უკრაინაში, და რა ელის მას ახლო მომავალში! უკრაინელებს ელის ზუსტად ის, ან კიდევ უფრო უარესი, რაც ჩვენ „მოვიპოვეთ“ ნაცების ხელში ცხრა წლის მანძილზე</u> – დასავლეთიდან დაძალებული რეფორმები (გადასახადების ზრდა და სოციალური დახმარებების შემცირება); სოციალური უსამართლობა (მდიდრებსა და ღატაკებს შორის არსებული უფსკრულის კიდევ უფრო გაღრმავება); ელიტალური კორუფცია; ეკონომიკური სტაგნაცია; მიწების, სტრატეგიული ობიექტების და სხვა სიმდიდრეების უცხოელებზე გაყიდვა; დასაკაბალებელი სესხებით საგარეო ვალის მკვეთრი ზრდა (გავიხსენოთ, საქართველოს ვალის 5-ჯერადი მატება ცხრა წელიწადში!); ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებითაც განპირობებული ემიგრაცია (რუსეთსა და ევროპა-ამერიკაში). ერთი სიტყვით, ეკონომიკურად დიდწილად რუსეთზე დამოკიდებული უკრაინის მრავალმილიონიანი მოსახლეობა შავ დღეში ჩავარდება.

რაც ყველაზე მთავარია, ცხოვრებისეულ გაჭირვებასთან ერთად უკრაინაში დგება ყველაზე მტკივნეული და საშიში სულიერი განწყობის პერიოდი – მომძე უკრაინელი და რუსი ხალხების დაპირისპირების პერიოდი, შესაძლოა, სამკვდრო-სასიცოცხლოც! ყველაფერი უკრაინის ახალ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დასავლეთის შერჩეული კადრები ეროვნულმა ან, მით უფრო, პრორუსულმა ძალებმა ჩაანაცვლოს 25 მაისს დანიშნულ ვადამდელ არჩევნებში. საკითხავი მხოლოდ ერთია: გაძლებს კი სააკაშვილის ტყუპისცალი ხელისუფლებაც ცხრა წელიწადს? ეს უკვე უკრაინელ ხალხზე და რუსეთის პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, არც უკრაინელი ხალხი აიტანს „მაიდნელებს“ ჩვენსავით დიდხანს და, შესაძლოა, არც რუსეთი დაელოდოს ამერიკის მიერ უკრაინის აღჭურვას (სამხედრო გაძლიერებას) – მიიღოს პრევენციული ზომები და მოახდინოს უკრაინის (თუ მთლიანად არა, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის) ოკუპაცია. საბაბად, სავარაუდოდ, ისევ რუსი ეროვნების მოსახლეობის რუსეთთან შეერთების მოთხოვნებს (ან მათ დაცვას) და უკრაინაში უცხოეთის სპეცრაზმების შემოყვანას გამოიყენებს (ცნობილი გახდა, რომ ხარკოვში შეყვანილი სპეცრაზმელები ვერც უკრაინულად და ვერც რუსულად ვერ ლაპარაკობდნენ და, რომ მათ, უშიშროების შენობის ნაცვლად, შეცდომით, თეატრის შენობა „დაიკავეს“!). მოვლენების ამ სცენარით განვითარება, დიდი ალბათობით, უსისხლოდ არ ჩაივლის, რაც, ცხადია, არნახულად გაამწვავებს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობას.

ახლა რუსეთ-ამერიკის „მოგება-წაგება“ განვიხილოთ.

ერთი შეხედვით, რუსეთმა ბევრი რამ მოიგო: მშვიდობიანად (უმსხვერპლოდ) და უმტკივნეულოდ (დასავლეთის შეშფოთებებს თუ არ ჩავთვლით) შემოიერთა 60 წლის წინათ ხრუშჩოვის მიერ უკრაინისთვის გადაცემული ყირიმი (26 000 კვ კმ-ზე მეტი ტერიტორია), რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი ზღვისპირა ზოლი და შავ ზღვაზე კონტროლის შესაძლებლობაც. არ არის გამორიცხული, მსგავსი სცენარი, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ძირითადად, რუსებით დასახლებულ, ტერიტორიით და მოსახლეობით ყირიმზე რამდენჯერმე დიდ რეგიონებშიც განმეორდეს. ძნელი სათქმელია, რამდენად უმტკივნეულოდ მოხდება ან, საერთოდ, მოხდება თუ არა უკრაინის ამ ნაწილის მიერთებაც რუსეთის მიერ, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სისხლის დაუღვრელადაც რომ განვითარდეს მოვლენები, დარჩენილი ცენტრალური და დასავლეთ უკრაინის სახით რუსეთი მიიღებს უაღრესად მტრულად განწყობილ სახელმწიფოს – ოდითგან მოძმე ერები, კარგა ხნით, დანასისხლად გადაეკიდებიან ერთმანეთს!

ამას გარდა, ყირიმის მიერთების იურიდიულ საფუძვლად გამოყენებულ რეფერენდუმში არის ერთი, რუსეთის მთლიანობისთვის ერთობ საშიში უარყოფითი მხარე, რაზედაც ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ.

ამერიკის მოგება-წაგებაზე მსჯელობა ობიექტური რომ გამოგვივიდეს, **<u>ჯერ უნდა ვიკითხოთ, თუ რა მიზნები აქვს ამერიკას საერთოდ და, კერძოდ, უკრაინაში</u>** (ანალოგიური კითხვა უნდა ისმებოდეს ჩვენთანაც, როცა ვწყვეტთ, თუ რომელი მიმართულება უნდა ავირჩიოთ – პროამერიკული, პრორუსული, ნეიტრალური თუ კიდევ რაღაც სხვა). სწორ არჩევანს უნდა განსაზღვრავდეს ქვეყნის ინტერესები, მისი უახლოესი და შორეული მიზნები. **სამწუხაროდ, საგარეო კურსის ამ კუთხით განხილვას გვერდს უვლიდა ძველი და გვერდს უვლის ახალი ხელისუფლებაც. უაპელაციოდ, ანუ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გვიცხადებენ – საქართველოს ერთადერთი უალტერნატივო(!) გზა არის ნატო და ევროკავშირი. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ყველაფერს ხომ აწონ-დაწონვა სჭირდება, მარტო დადებით მხარეებზე ლაპარაკით და უარყოფითის არგათვალისწინებით, არსსენებით(!) საერთოდ, რომელი პატიოსანი, ქვეყანაზე მაფიქრალი მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს).**

ამერიკის მიზნები არავისთვისაა საიდუმლო – ყველამ, პოლიტიკაში ჩაუხედავმაც იცის, რომ მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოს (სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით) ერთპიროვნული ბატონობა სურს მსოფლიოზე, მათ შორის, ცხადია, წიაღისეული რესურსებით უმდიდრეს რუსეთზეც. საბჭოთა კავშირის დროს, როცა მსოფლიო ორპოლუსიანი იყო, ეს იმდენად არ იგრძნობოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და რუსეთის დასუსტების ფონზე, ამერიკა უკონკურენტო გახდა. აბსოლუტური ჰეგემონობის გზაზე მას, პუტინის მმართველობის პერიოდში კვლავ ფეხზე დამდგარი, ტერიტორიით მსოფლიოს უდიდესი და სამხედრო ძლიერებით მეორე სახელმწიფო – რუსეთი ეღობება. ამიტომ, ამერიკის პოლიტიკის დღის წესრიგში რუსეთის დაშლა-დასუსტება რომ დგას პირველ საკითხად, არც ეს გახლავთ საიდუმლო. ამ ჩანაფიქრის აღსრულებას ამერიკა, ბუნებრივია, კომპლექსურად უდგება – რუსეთის დასუსტებას ცდილობს შიდა არეულობებით – უხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობების მიერ ორგანიზებული ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებით და მარშებით (ამიტომაც დააწესა პუტინმა რუსეთში დაფუძნებულ ასობით ასეთ ორგანიზაციაზე და იქ უცხოეთიდან შესულ დიდ თანხებზე კონტროლი); ხელისუფლების, პირველ რიგში, პუტინის დისკრედიტაციით (მასმედიის საშუალებებით – შიგნიდან და გარედან); ნატოს რკალის თანდათანობითი დავიწროებით რუსეთის ირგვლივ; და რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებში ანტირუსული ატმოსფეროს შექმნით. ამის მიღწევა კი, ყველაზე ადვილად, სამხედრო დაპირისპირებით, ცხელი წერტილების შექმნით ხერხდება.

ჩემი აზრით, ამერიკამ დასახული ამოცანა შეასრულა – იანუკოვიჩის პრორუსული ხელისუფლება აშკარად პროამერიკული ხელისუფლებით შეცვალა. რაც შეეხება ყირიმის ჩამოცილებას, ესეც ამერიკის წისქვილზე ასხამს წყალს – უკრაინელი ხალხი მტრულად განაწყო რუსეთისადმი, და მან ისიც იცის, რომ ეს განწყობა დიდხანს გაგრძელდება.

თუ არ გავითვალისწინებთ ამერიკის ამ სტრატეგიულ მიზანს, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამერიკის პოლიტიკამ კრახი განიცადა უკრაინაში – „მაიდნის“ ლიდერების გამუდმებული კონსულტაციების მიუხედავად, რუსეთმა მშვიდად აიცალა თვალწინ ყირიმი, თანაც, ერთი გასროლის გარეშე(!), და უკრაინა, ფაქტობრივად, დაშლის წინაშე დაავენა. ნამდვილად ასეა, მაგრამ ამერიკას ნაკლებად ადარდებს ეს. როგორც რუსები იტყვიან: лес рубят, щепки летят. **„დიადი“ მიზნის – გლობალური მმართველობის მისაღწევ გზაზე უკრაინა და საქართველოც (სხვებიც), სწორედაც რომ, ნაფოტებია ამერიკისთვის!**

ჩემი აზრით, ამერიკამ დასახული ამოცანა შეასრულა – იანუკოვიჩის პრორუსული ხელისუფლება აშკარად პროამერიკული ხელისუფლებით შეცვალა. რაც შეეხება ყირიმის ჩამოცილებას, ესეც ამერიკის წისქვილზე ასხამს წყალს – უკრაინელი ხალხი მტრულად განაწყო რუსეთისადმი, და მან ისიც იცის, რომ ეს განწყობა დიდხანს გაგრძელდება. გამორიცხულია, რომ უკრაინის შემადგენლობიდან ყირიმის გასვლის შესაძლებლობა გათვლილი არ ჰქონოდა ამერიკას, ასეთ საკითხებზე სპეციალურად შექმნილი სამსახურები მუშაობენ. ისინი, პრაქტიკულად, ყველა შესაძლებელ სცენარს განიხილავენ და, ცხადია, შესაბამის ზომებსაც წინასწარ სახავენ ყველა ვარიანტისთვის. ამერიკის იგივე მიზანს ემსახურებოდა ჩვენი 2-დღიანი ომიც 2008 წლის აგვისტოში – ამერიკისთვის ის კი არ იყო მთავარი, რაც ჩვენთვის, ანუ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება, არამედ ის, რომ ამ ომს ხელი უნდა შეეშალა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის, კარგა ხნით გადაესვა მისთვის ხაზი. და ასეც მოხდა – ქართველი ხალხი, განსაკუთრებით, პოლიტიკაში და ისტორიაში ნაკლებად ჩახედული ახალგაზრდობა, თან, სკოლის ასაკიდან რუსეთის მხოლოდ(!) ძაგებაში აღზრდილნი, ძალიან ნეგატიურად განეწყო რუსეთისადმი (2008 წლის აგვისტო წინასწარ რომ არ ყოფილიყო დაგეგმილი და სააკაშვილს თვითნებურად, ექსპრომტად წამოეწყო საბრძოლო მოქმედებები, მაშინ მას, მეორე დღესვე ოთხ მილიარდს(!) არავინ გამოუყოფდა დახმარებას და, თანაც, ამხელას მხოლოდ წარმატებით ჩატარებულ ოპერაციებში იძლევიან და არა დაუკითხავად, ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ(!) წამოწყებულებში. ასეთ „გამბედავ“, წინ მარბენალ კვიცებს ამერიკა კი არ აჯილდოებს, არამედ, სჯის!).

ამერიკამ, შეიძლება ითქვას, რამდენიმე კურდღელი დაიჭირა „მაიდნით“: რუსეთის მოძმე უკრაინა მტრულ სახელმწიფოდ აქცია; ხელისუფლების სათავეში თავისი გამოზრდილ-გამოკვებილი და მონა-მორჩილი ადამიანები დასვა; რუსეთს აუმხედრა მთელი ევროპა; და, რაც ძალზედ საყურადღებოა, რუსეთს თავისი ხელით ჩაადებინა ისეთი ნაღმები, რომლებიც არავინ იცის, როდის შეიძლება ამოქმედდნენ. თუ კოსოვოს პრეცედენტი (სერბეთისგან კოსოვოს ჩამოცილება) ამერიკამ რუსეთისთვის პრობლემების შესაქმნელად, მის დასაშლელად მოიფიქრა (და რამაც, პირველები ჩვენ დაგვშალა!), ყირიმის პრეცედენტი რუსეთის ფედერაციის ხალხებმაც შეიძლება გამოიყენონ და რუსეთისგან გამოყოფა ან, სულაც, სხვა სახელმწიფოსთან შეერთება მოითხოვონ (მაგალითად, კურილის კუნძულებმა იაპონიის შემადგენლობაში დაბრუნება)! ვინ რას მიაღწევს, ძნელი სათქმელია, ალბათ, ბევრს ვერაფერს, ყოველ შემთხვევაში, სანამ პუტინი მართავს რუსეთს, მაგრამ გამწვავების კერების გაღვივებას რომ შეუწყობს ხელს (თან, „პატარა“ ხელისწაკვრაც უსათუოდ იქნება არასამთავრობების მხრიდან!), ვფიქრობ, სადაო არ უნდა იყოს. **ასე რომ, ყირიმის პრეცედენტი, სავსებით დასაშვებია, რუსეთს ბუმერანგივით შემოუბრუნდეს მომავალში!**

თუ ამ საზომით მივუდგებით ამერიკის პოლიტიკას უკრაინაში, მაშინ დავინახავთ, რომ წაგებით მას არაფერი წაუგია, მოგებით კი ბევრი რამ მოიგო, ვფიქრობ, მიიღო ის, რისი მიღებაც უნდოდა. რაც შეეხება რუსეთს, მის პლუსებს ერთობ საგრძნობი მინუსებიც გამოყვა. მან დაკარგა პრორუსული უკრაინა და მიიღო პროამერიკული, თანაც, მეზობლებს შორის ყველაზე მეტად ანტირუსულად შემართული სახელმწიფო! საბოლოოდ დაკარგავს თუ არა რუსეთი უკრაინაზე გავლენას, და გადავა თუ არა უყირიმოდ დარჩენილი უკრაინა ამერიკის ფაქტობრივ(!) მმართველობაში, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად რადიკალურ ქმედებებზეა პუტინი წამსვლელი. კრემლში კარგად ესმით, რომ მეზობელ უკრაინაში ფეხმოკიდებული ამერიკა ერთობ საშიში გახდება რუსეთისთვის.

ყველაფერი ერთ-ორ თვეში გადაწყდება!

იაკობ ლეჟავა,
11 აპრილი, 2014

P. S. მხოლოდ რეფერენდუმებით, ანუ ხალხის ნება-სურვილით ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფა ან სხვა სახელმწიფოსთან მიერთება სრული აბსურდია. აბსურდია, რადგანაც, მაშინ, კომპაქტურად მცხოვრებ ყველა ეროვნების ხალხებს, რომელთაც ეროვნული სახელმწიფო აქვთ მეზობლად ან სადღაც მსოფლიოში, ყოველთვის შეეძლებათ გამოყოფა რეფერენდუმის საფუძველზე. წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა მოხდება მსოფლიოში, ეს უფლება ყველამ რომ გამოიყენოს (მაგრამ მას იყენებენ მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი... როცა დასჭირდებათ).

ყირიმის შემთხვევაში ცოტა სხვაგვარი სიტუაცია იყო და ეს უნდა ასახულიყო კიდეც ჩატარებულ რეფერენდუმში. მთავარ(!) არგუმენტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ისტორიული ფაქტი – რომ ყირიმი არასოდეს არ ყოფილა უკრაინის შემადგენლობაში, რომ იგი უსამართლოდ იყო ჩამოჭრილი რუსეთისგან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მიერ და, რომ ახლა, ხალხმა რეფერენდუმზე გამოხატული ნებით აღადგინა ისტორიული სამართლიანობა! ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო წინა პლანზე წამოწეული და არა ის, რომ ხალხმა, უბრალოდ, მოისურვა რუსეთთან შეერთება.

ის, რაც სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ყირიმთან მიმართებაში, ანუ რეფერენდუმი, არ გამოდგება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონებისთვის, იქაური მოსახლეობის მოთხოვნა – უკრაინიდან გამოყოფა და რუსეთთან მიერთება (100%-მაც რომ დაუჭიროს მხარი) ლეგიტიმური არ იქნება. ამიტომაც ასეთი რეფერენდუმი, ვფიქრობ, არც ჩატარდება.

ი. ლ.

◎ გამოძიება

არ გაინტერესებთ, რა უთხრა სააკაშვილმა გზიდან მობრუნებულ ბარამიძეს?!

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9 წელმა პროკურატურის დეკვალიფიკაცია მოახდინა, სასამართლო იყო სააკაშვილის გავლენის ქვეშ და შესაბამისად მტკიცებულებების შექმნის აუცილებლობა არ იყო, ამიტომ აქვს გამოძიებას ახლაც ლაფსუსები. ამ საქმეს ისევ ის გამომძიებელი იძიებსო, მოვისმინე და, თუ ეს მართალია, საუბარიც ზედმეტია უკვე ყველაფერზე.“ — ამბობს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ქობა ნარჩემაშვილი, რომელიც ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიების ლაფსუსებზე საუბრობს.

— ინტერნეტსივრცეში გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ფოტოების გავრცელების შემდეგ, პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბარა ყველა — ექსპერტიდან დაწყებული ყოფილი პრეზიდენტით დამთავრებული. **როგორ ფიქრობთ, რატომ აქამდე არ დააკავეს ექსპერტი ლევან ჩაჩუა, თუ ეს ფოტოები ჟვანიას საქმეში მანამდეც იდო?**

— ფოტოების გავრცელებით ჩემთვის რაიმე მნიშვნელოვანი არ გამოკვეთილა, თუმცა, ეგ კითხვა მეც გამიჩნდა. ექსპერტიზის დროს ჯერ გვამს გარეგნულად ათვალიერებენ, რასაც აუცილებლად ესწრება გამომძიებელი. კოდექსში გარკვევით წერია, გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევისას, გაკვეთისას აუცილებელია გამომძიებლის მონაწილეობა, რამდენადაც ეს მისთვის მძიმე არ უნდა იყოს. არც მე მიხაროდა, მაგრამ პროზექტურაში დღეში 7-8 გვამის გამოკვლევას დავსწრებივარ. არ არის ეს ადვილი და პირველად საერთოდ ცუდად გავხდი, მაგრამ აუცილებელია. თუ დაზიანებები ექსპერტიზის დროსაც იგივე იყო, რაც ამ ფოტოებზე ჩანს, მაშინ ამ საქმის ახალ გამომძიებელსაც უნდა გასჩენოდა ეს კითხვა, იმიტომ, რომ გარეგნულ დაზიანებებზე პასუხისმგებლობა ექსპერტთან ერთად გამომძიებელსაც ეკისრება. იმისათვის, რომ უფრო კონკრეტულად ვისაუბრო, უნდა ვიცოდე, ის ფოტოები, რომლებიც დაიდო ინტერნეტში და რომელიც სეიფში ინახებოდა, იდენტურია თუ არა? ავთენტური არის, მაგრამ იდენტურია? არის ამ ამბავში ბევრი ნიუანსი, რომელიც მეც მიჩენს კითხვებს.

— რომელ ნიუანსებზე საუბრობთ?

— თავის არეში დაზიანება და წვრილი დაზიანებები, რაც ძალიან არადამახასიათებელია და ჰგავს სპიცის გამოყენებას, დასვრილი, ნათრევი და აჩეჩილი ტანსაცმელი, რომელიც მიანიშნებს გვამის გადაადგილება-გადმოადგილებაზე. ვფიქრობ, რომ ეს ფოტოები არ არის გვამების აღმოჩენის დროს გადაღებული. ან სხვაგან არის მოკლული ან იმ სახლშივე შეუცვალეს ადგილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში აღწერილი სურათი აბსოლუტურად უნდა ემთხვეოდეს გადაღებულ ფოტოსურათს, იმიტომ, რომ შემთხვევის ადგილის ოქმი იწერება ასე: მე გამომძიებელი ესა და ეს, ამასთან ერთად მივედი, ვნახე, რომ გვამი იყო იატაკზე, დაცილებული 5 სანტიმეტრით კედლიდან, თავი ჰქონდა აღმოსავლეთით, ფეხები — დასავლეთით, ანუ ოქმში ისე დაწვრილებით იწერება ყველაფერი, ფოტოც რომ არ გქონდეს, წარმოდგენა წაკითხვისთანავე შეგექმნება. ამის შემდეგ იწყება გვამის დასურათება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვამი ასე არ სურათდება, როგორც ამ ფოტოებშია. როცა შემთხვევის ადგილზე იღებ ფოტოს, იქ აუცილებლად უნდა იყოს დადებული სახაზავი, მასშტაბისთვის, რომ შემდეგ დაზიანების ზომები სურათით აღვიდგინოთ, ანუ ეს ფოტოები არ არის ოქმის სურათები.

— რამდენად მნიშვნელოვანია გამოძიებისთვის, იცოდეს, ვინ ან რატომ გაავრცელა ჰაკიმ ფაშას სახელით ეს ფოტომასალა?

— არ ვთვლი, რომ ამ ფაქტს გამოძიებისთვის რაიმე პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლებისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ყოველთვის გამოჩნდებიან „ნაციონალურ მოძრაობაში“ ოპონენტები, რომლებიც იტყვიან, ვერ დაადგინეთ, ვინ გაავრცელა ეს სურათებიო. კითხვები რომ არ იყოს, ამის საშუალებები არსებობს და გაიგონ, რა პრობლემაა?..

— ორი ძირითადი ვერსია არსებობს და საზოგადოების ერთ ნაწილი თვლის, რომ პრემიერი მოკლულია, მეორე კი ამტკიცებს, რომ ბუნებრივი აირითაა მოწამლული, სხვა ვერსიები არ არსებობს?

— მე ვუშვებ ორივე ვერსიას და, შესაძლოა, სხვა რაღაცასაც ვუშვებდე, ეს არის გამორიცხვის მეთოდი, დედუქცია, ინდუქცია, და გამორიცხვის მიხედვით ერთ ვერსიაზე ჩამოყალიბება.

— თითქმის 9 წელია, გამოძიება მიდის, თუ არ არსებობს ხელშემშლელი ფაქტორები, ამდენი ხანი რა ვერ გამოიძიეს?

— ამას წინათ მოვისმინე ხათუნა ხოფერიას განცხადება, რომელიც რეაგირებას იმსახურებდა. მან თქვა, რომ ჟვანიას გარდაცვალების ადგილზე მიმავალ ბარამიძეს სააკაშვილმა დაურეკა და ჯერ მასთან მისვლა სთხოვა, ყველაზე საინტერესოა, ხოფერიას და ბარამიძეს ჰკითხონ, არ გაინტერესებთ, ასეთი მნიშვნელოვანი რა უთხრა სააკაშვილმა გზიდან მობრუნებულ ბარამიძეს? არც წინა ხელისუფლებას და არც ახლანდელს საზოგადოება არ ამოასუნთქებს, პრემიერ-მინისტრი არის საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი და სანამ არ დადებენ საბოლოო დასკვნას, ხალხი არ მოისვენებს. მართლა ძალიან დიდი დროა გასული და როგორი კვლევის მეთოდიკაც არ უნდა არსებობდეს, ექსჰუმაცია იმ შედეგს ვერ მოგვცემს, რასაც იმ დღეებში მოგვცემდა, რბილი სხეული აღარ იქნება შენარჩუნებული და იმიტომ. შეიძლება დადგინდეს მოწამვლის ნიშნები, იმიტომ, რომ ძვლის ქსოვილი ინახავს საწამლავს, მაგრამ რამდენად შესაძლებელია დადგინდეს სხვა რამ... მე არ ვიცი, ვინ რას ბლოკავს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი უნდა ითქვას, ამას ვერ გაექცევა ვერავინ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობდა ისეთი რამ, რაზეც ბევრს საუბრობენ, არსებობს დახურული სასამართლო სხდომა, საქმის მასალების გასაიდუმლოება და ეს ვერ შეუშლის ხელს ჭეშმარიტების დადგენას.

Reportiori.ge

◎ წერილი იყალთოდან

პატარების საყვარელი პედაგოგი

ძვირფასო რედაქციას!

ამ წერილის მოწერა იმ დიდმა სითბომ და სიყვარულმა გადამაწყვეტინა, რომელიც ამ დღეებში ჩემი კოლეგისა და მეგობრის — **ეველინა ხუციშვილის** პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა საღამომ განმაცდევინა. ეს ყველაფერი კი კახეთის ერთ ძირძველ, დიდი ისტორიული წარსულისა და კულტურული ტრადიციების მქონე სოფელ იყალთოში მოხდა, სადაც ქალბატონი ეველინა აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა თავის ცოდნასა და გამოცდილებას, ადამიანურ სიყვარულსა და დედობრივ მზრუნველობას აქაური ბაგა-ბაღის ნორჩთა სწავლა-აღზრდას ახმარს.

პატარების პედაგოგს, თითქოს ბუნებამ დაანათლაო, მუდამ თან სდევს ადამიანური ხიბლი და სიყვარული. მასთან ყოველი შეხვედრისას აპრილის ლურჯთვალა დილასავით შემოგანათებთ სახიდან გადმომდინარე სათნოება, მოყვავისადმი კეთილგანწყობა და სიმშვიდე. ამას ყველაზე უკეთ ხედავენ და გრძნობენ მისი პატარა აღსაზრდელები, რომელთა ხატად ქცეულ სიყვარულსაც ქალბატონი ეველინა მთელი ცხოვრება გულით დაატარებს:

იყალთოს დილა თქვენით იწყება,
თქვენა ხართ ჩემი ლექსის სათავე,
ღმერთო ძლიერო, შემაძლებინე,
თქვენზე ფიქრებში ვათეონო ღამე.
ლექსი მივუძღვნა დავითს, მარიამს,
დაჩის, გიორგის, ქეთევანს, ნიკას,
ჩემთვის საფიცარ იყალთოს მიწას,
თამარის მანდილს,
შოთას ნატერფალს.

ლექსად ამღერებულ პედაგოგს სიყვარულს სიყვარულითვე უბრუნებენ მადლიერი იყალთოელები, რომელთაც თავიანთი პატარების ამაგდარი აღმზრდელი ეველინა ხუციშვილი თავის დროზე, სულმნათი გიორგი შათირიშვილის წარდგინებით, „შოთაობის“ საერთო-სახალხო დღესასწაულზე საპატიო იყალთოელად აირჩიეს. ამ სიყვარულის ზეობა გახლდათ ხსენებული საღამოც, რომელიც ბაგა-ბაღის (გამგე — ლეილა პაპუნაშვილი) პედაგოგებმა, თელავიდან და ახმეტიდან მოწვეულმა სტუმრებმა, თავად ნორჩმა აღსაზრდელებმა ათეულწლობით გაწეული ღვაწლის არდავიწყების, სიყვარულისა და პატივისცემის ნამდვილ დღესასწაულად აქციეს. ასეა, ჭეშმარიტი სიყვარული არასდროს იბინდება.

თამარ კოლელიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

ზოგიერთ ამომრჩეველს ივანიშვილი პარლამენტარი ჰგონია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საკუთარი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვინაობა მხოლოდ რესპონდენტთა 41%-მა იცის. ამის შესახებ ორგანიზაციის მიერ მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობის შეფასების ანგარიშშია ნათქვამი. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, რესპონდენტთა ნახევარი ამბობს, რომ თვალს ადევნებს ინფორმაციას პარლამენტის მუშაობის შესახებ.

პარლამენტის წევრთა ზუსტი რაოდენობის დასახელება ორგანიზაციის მიერ გამოკითხულთა მხოლოდ 28%-მა შეძლო. 46%-ის აზრით, პარლამენტის 150 წევრი საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის ზედმეტია, ხოლო 49%-ს მიაჩნია, რომ პარლამენტის წევრთა ეს რაოდენობა საკმარისია.

ამასთან, მაღალია პარლამენტის თავმჯდომარის ცნობადობა. დავით უსუფაშვილის დასახელება გამოკითხულთა 83%-მა შეძლო.

პარლამენტის ყველაზე აქტიურ წევრთან დაკავშირებით პასუხები ასე გადანაწილდა: 14%-ს მიაჩნია, რომ არც ერთი არ არის საკმარისად აქტიური, ხოლო 53%-მა არ ან ვერ დაასახელა პარლამენტის ასეთი წევრი. დასახელებული დეპუტატებიდან ყველაზე მეტი — 6% ყველაზე აქტიურად ეკა ბესელიას მიიჩნევს. კითხვაზე, თუ პარლამენტის რომელ წევრს ენდობიან ყველაზე მეტად, გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ არც ერთს არ ენდობა, ხოლო 51%-მა არ ან ვერ დაასახელა პარლამენტის წევრი. ნდობის კუთხით პირველ ორ ადგილზე ახლანდელი და ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარეები არიან, შესაბამისად 6%-ითა და 4%-ით. ამასთანავე, დავით ბაქრაძე პარლამენტის ერთადერთი წევრია ყოფილი მმართველი გუნდიდან, რომელიც ამ რეიტინგში მოხვდა.

გამოკითხულთა თითო პროცენტმა ორ შეკითხვაზე პასუხად: „საქართველოს პარლამენტის რომელ წევრს ენდობით და, როგორც წესი, პარლამენტის რომელი წევრი საუბრობს იმ საკითხებზე, რომელიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია თქვენთვის“, შეცდომით დაასახელა იმ დროისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც პარლამენტის წევრი არასდროს ყოფილა.

შეკითხვაზე, თუ სად უნდა მდებარეობდეს საქართველოს პარლამენტი, 66%-მა განაცხადა, რომ ის თბილისში უნდა იყოს, ხოლო 20% პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მომხრეა.

საია-მ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი დაიწყო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საია-დან აცნობეს, ორგანიზაცია წინასაარჩევნო პერიოდს რეგიონული ოფისების მეშვეობით, საქართველოს რვა რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელოსა და თბილისში აკვირდება.

— დაკვირვების მიზანია, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა. საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე, საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ხარვეზებზე. როგორც წესი, საია-ს მონიტორები ყურადღებას საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების, ამომრჩევლის მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების, პოლიტიკური გაერთიანებების/საარჩევნო სუბიექტების და მათი წარმომადგენლების დაშინებისა და მუქარის, ასევე, სავარაუდოდ, პოლიტიკური ნიშნით დევნის, სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტებზე ამახვილებენ, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

მათივე განცხადებით, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარადგენს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია „მუშტის ქნევა ჩხუბის შემდეგ?!“ (რუსეთში მიხეილ გორბაჩოვის გასამართლებას აპირებენ), რომლის ავტორია მანანა ნოზაძე, ერთობ საყურადღებოა, ვინაიდან იმ „ფერხულს“ ემსახურება, რაც კარგა ხანია, საქართველოშია და რასაც თანამედროვე რუსეთის, განსაკუთრებით პრეზიდენტ პუტინის დისკრედიტაცია ჰქვია.

„დღეს პუტინის ხაზი რუსეთში ძლიერია, – ნათქვამია სტატიის დასაწყისში. – ახლანდელი რუსეთი საბჭოთა კავშირის აღდგენის გეგმას ამუშავებს და მიხეილ გორბაჩოვის გასამართლებას აპირებს“. სტატიაში მოთხრობილია ამბავი რუსეთის დუმის „თითქმის ყველა ფრაქციის“ დეპუტატისა, რომლებმაც წერილით მიმართეს რუსეთის გენერალურ პროკურატურას, რათა საბჭოთა კავშირის დაშლა უკანონოდ გამოაცხადოს, ხოლო ამ პროცესში მონაწილე პირები – დამნაშავედ.

რამდენად ასრულდება რუსეთის დუმის დეპუტატთა ეს გულის წადილი, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ გაცილებით იოლია სტატიის მიზნის გამოცნობა – ფრთხილად, საბჭოთა კავშირი მოდის!

დუმელებმა კარგად იციან, რომ პროკურატურის დადებითი პასუხი ვერც საბჭოთა კავშირს აღადგენს და ვერც გორბაჩოვს დაიჭერს. პროკურატურის პასუხი (თუკი საერთოდ განიხილა მან, ერთობ უხერხული და ურთულესი საკითხი) იქნება რუსეთის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი რამ და არა მარტო ისტორიისთვის, თანამედროვეობისთვისაც.

ვინ იცის, საქართველოს საზოგადოებას რომ სერიოზულად შეეფასებინა ის მოვლენები, რაც მოხდა ქვეყნის ისტორიაში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, იქნებ აღარ დაგვეშვა სავალალო შეცდომები, იქნებ თავიდან აგვეშორებინა თბილისის ომი, პრეზიდენტების დამხობა, აფხაზეთ-ოსეთის ომები და სხვა მრავალი წვრილმან-მსხვილმანი მოვლენა, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს საქართველოზე, თითოეული ჩვენგანის ყოფაზე.

ყოველივე აღნიშნული კი სათავეს სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლიდან იღებს. ასე რომ, არა მარტო რუსს უნდა აინტერესებდეს, რა მოხდა მაშინ, რამ და ვინ გამოიწვია საბჭოეთის დაშლა, არამედ ჩვენც, ჩვენს მეზობლებს, ყველა იმათ, ვინც შედიოდა ამ კავშირში და არა მარტო მათ, არამედ იმათაც, ვინც სოციალისტური ბანაკის წევრად მოიაზრებოდა.

ხაზგასმით აღვნიშნავ, სიმართლის დადგენის ინტერესი, სულაც არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილს, ისე, როგორც ეს არის აღნიშნული სტატიის დასაწყისში. სიმართლის დადგენის ინტერესი, სულაც არ უნდა იყოს გამოყენებული საბჭოთა კავშირის „აღდგენის გეგმის შემუშავებით“ ხალხის დასაშინებლად, თუმცა, ამ მეთოდით ხალხის დაშინება არახალია.

რა ხანია ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი მთელ მსოფლიოს საბჭოთა კავშირის აღდგენით აშინებს. ჟურნალისტის მიერ ჩვენთვის შემოთავაზებული წინადადება – „ახლანდელი რუსეთი საბჭოთა კავშირის აღდგენის გეგმას ამუშავებს“, სწორედაც ამერიკული პროპაგანდისტული მანქანის მიერ შემუშავებული შორსმიმავალი „ბრძნული“ მოსაზრების გაგრძელებაა, რასაც „ეშვებიანი“ რუსეთის ხატვა ჰქვია.

ისე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ არის საინტერესო, რატომ ჩაითვალა სამი სეპარატისტის – რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის პრეზიდენტების მიერ ბელოვეჟის ტევრში ჩატარებული საიდუმლო სერობა კანონიერად, მაშინ, როდესაც ჯერაც არსებობდა საბჭოთა კავშირი თავისი პრეზიდენტით და პრეზიდენტის აპარატით, ანუ სახელმწიფო აპარატით? რატომ არ გადადგა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა პრეზიდენტისთვის შესაფერისი ნაბიჯები საბჭოთა კავშირის დასაცავად?

ის, რომ გორბაჩოვს არ სურდა საბჭოთა კავშირის დაშლა, სუსტი არგუმენტია და მას გამაგრება სჭირდება. ბელოვეჟის სამეულმა ითათბირა, გადაწყვეტილება მიიღო და ამის შესახებ უპირველესად აშშ-ს პრეზიდენტ ბუშს (უფროსს) შეატყობინა, შემდეგ ისე, სასხვათაშორისოდ, ბელორუსიის პრეზიდენტმა შუშკევიჩმა (დაუკვირდით, შუშკევიჩმა) და არა რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ გორბაჩოვს. და მანაც არ დააყოვნა, საჯაროდ, ტელევიზიით მიმართა საბჭოთა კავშირს – დავიშალეთ და კარგად იყავითო.

ეს არ არის ის შემთხვევა, რომელზეც იტყვიან – ყოველივე რთული და ძნელი (საკითხი) მარტივად წყდებაო. საბჭოთა კავშირის დაშლისთვის დასავლეთმა ტრილიონობით დოლარი დახარჯა. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროს ყველაფერი იყო გამოყენებული – დაზვერვა, პროპაგანდა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობაზე ზემოქმედება, შეიარაღების თავდავიწყებული ზრდა და ამ პროცესში საბჭოთა კავშირის ჩათრევა – მისთვის იძულებითი ფულის ხარჯვა, საბჭოთა ხელმძღვანელებისთვის დასავლური იდეების თავსმოხვევა და სხვა.

გამალებულმა შეიარაღებამ მძიმე შედეგი მოუტანა საბჭოეთს, განსაკუთრებით მის ეკონომიკას, თუმცა, ვერ გამოიწვია მისი დანგრევა-განადგურება, რის შესახებაც ხშირად წერენ იმდროინდელი ექსპერტები – „საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა“, – ამბობენ ზოგიერთები და იშველიებენ თავიანთ „ნამოღვაწარს“. არადა, ხშირად გაისმის რუსული ტელეარხებიდან – საბჭოთა დონის მისაღწევად 10-15-წლიანი დაძაბული შრომააო საჭირო.

საბჭოეთის დაშლას რომ გორბაჩოვს აბრალებენ, არ არის გასაკვირი, ვინაიდან სწორედ მისდროინდელმა რეფორმებმა – ერთობ გაუაზრებელმა და ზედაპირულმა, გამოიწვია პროცესი, რომლის შეკავებას ვეღარაფერი უშველიდა. ან უნდოდა კი ვინმეს შეკავება? პირიქით, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ თვით გორბაჩოვი და მისი გარემოცვა.

რამ გამოიწვია ყოველივე ეს? ვინ იყო ამის ინიციატორი? რა კავშირი ჰქონდა იმ ხილულ თუ არხილულ „ინიციატორს“ გორბაჩოვსა და მის „გუნდთან“? აი, ამის დადგენა სურთ დუმელებს. რა არის ამაში დასაძრახი, საგანგაშო ან საქილიკო?

1991 წელს განვითარებულმა მოვლენებმა არაერთხელ წამოჰყო თავი – მძიმედ, სისხლით და ცრემლით. განა უკრაინის მოვლენები იმჟამინდელი ამბების გამოძახილი არ არის?! განა საქართველოში განვითარებული მოვლენები, განსაკუთრებით აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის ომები იმ ძველს არ უკავშირდება?

საბჭოთა კავშირზე ლაპარაკი საშუალო და მაღალი ასაკის თაობის იმქვეყნად წასვლისთანავე რომ არ გაქრება, ცხადია. შენელდება, შესაძლოა, მაგრამ არ გაქრება, ვინაიდან საბჭოური 70-წლიანი ისტორია, თავისი, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მომენტებით ერთობ საინტერესო და საყურადღებოა. მისი ზერელედ, ხელაქნევით მოხსენიება საკუთარი ისტორიისა და ცხოვრების ფეხქვეშ გათელვის ტოლფასია. საკუთარი ისტორიის შეურაცხმყოფელი კი ახალს ვერ ააშენებს.

საქართველოს, ისევე, როგორც რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიაში, მრავალსაუკუნოვანსა და საინტერესოში, საბჭოთა პერიოდი დაფიქსირებულია და მის არსებობას, ცხადია, ისტორიულს, ვერც სააკაშვილი და ვერც მისი მსგავსი ვიგინდარები, თუნდაც ისეთნი, ვინც დღევანდელი უკრაინის სათავეში არიან, ვერ ამოშლიან. ისტორიული მეხსიერება თაობიდან თაობაზე გადადის. მას ვერც ქუჩების დასახელების შეცვლა შველის და ვერც ძეგლების ჩამოგდება-განადგურება. „ვორონცოვზე“, „პლეხანოვზე“, „ლენინის მოედანზე“ მივდივარ, – ხშირად ესმის ყურს.

„არა მარტო რუსი დეპუტატები ფიქრობენ პუტინის მსგავსად, არამედ რუსეთის საზოგადოების ყველა ფენაშია ისეთი განწყობა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო“, – აცხადებს პატივცემული პეტრე მამრაძე იმავე სტატიაში. არის რამე დასაძრახი ან გასაკვირი ამაში? მაგრამ

ფიქრი ერთია და მცდელობა საბჭოთა კავშირის აღდგენისა, მეორე.

ძნელად თუ მოიძებნება კაცი რუსეთში, რომელიც რეალიზმის დონეზე, მსოფლიო ვითარების გათვალისწინებით, იტყვის, რომ ეს შესაძლებელია. ოცნება შეიძლება. ოცნებას ვერავის აუკრძალავ, მაგრამ ოცნება ხომ რეალობა არ არის? ჩვენც ხომ ვამბობთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე? ამით რა, ვუშავებთ ვინმეს, გარდა საკუთარი თავისა, ვინაიდან მხოლოდ ვამბობთ, მაგრამ აღდგენისთვის არაფერს ვაკეთებთ. ის, ვიღაცა დუმელი თუ სხვა ვინმე, ამბობს საბჭოეთის აღდგენაზე. თქვას, ამით ხომ საბჭოეთი არ აღდგება?

დიახ! პუტინმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კატასტროფა იყო, მაგრამ პუტინი საკმაოდ გონიერი პოლიტიკოსია, რომ თავში არ გაივლოს საბჭოეთის აღდგენა. ის, რომ მას სურს თავისი ქვეყნის საზღვრებთან ლოიალურად განწყობილი ქვეყნების არსებობა, დასაძრახი სულაც არ არის.

რუსეთი დიდი სახელმწიფოა - ევროპა-აზიაზე გადაჭიმული, ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანამდე, თანაც ბირთვული, აშშ-ს ტოლი შეიარაღებით, აშშ-ს მეტოქე მრავალი თვალსაზრისით. თუ აშშ, დღევანდელ მსოფლიოში რუსეთის უპირველესი მეტოქე შეიარაღების დარგში, თავისადმი ლიოალურად განწყობილ ქვეყნებს ეძებს რუსეთის საზღვრებთან, რა არის იმაში გასაკვირი, რომ რუსეთმა ეძებოს ასეთნი საკუთარ საზღვრებთან?

დიახ, რუსეთს სურს საბაჟო კავშირში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხილვა, შემდგომში ევრაზიულ კავშირში, მაგრამ რა კავშირშია ევრაზიული კავშირი ან საბაჟო კავშირი საბჭოთა კავშირთან? ისე, კაცმა რომ თქვას, ევრაზიული კავშირის იდეა პუტინისგან კი არა, ყაზახეთის პრეზიდენტ ნაზარბაევისგან მოდის.

9 აპრილის მოვლენების შემსწავლელ საბჭოთა კავშირის კომისიის შემადგენლობაში ნურსულთან ნაზარბაევიც შედიოდა – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. კომისიის საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას, რომელსაც სობჩაკი ხელმძღვანელობდა, მასპინძლობას მე და ჩემი კოლეგები, მაშინდელი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომლები ვუწევდით. კერძო საუბრებში, განსაკუთრებით კრწანისის სახელმწიფო რეზიდენციის მეორე სახლში საუზმის, სადილის, ვახშამის დროს, ნაზარბაევს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით. იმჟამად პუტინის ჭაჭანება არ იყო პოლიტიკაში.

საქართველოს ბედმა არგუნა კავკასიაში, რუსეთის მეზობლად არსებობა. ცუდია ეს თუ კარგი? ზოგი იტყვის, რომ ბედი არ გვქონიაო, რაღა მაინცდამაინც რუსეთის მეზობლადო. ზოგიც საწინააღმდეგოს იტყვის. ნეტავ, საინტერესოა, აფრიკის ან რომელიმე სხვა კონტინენტზე რომ ყოფილიყო საქართველო, ისეთი „კმაყოფილები“ ვიქნებოდით, როგორც დღეს?

ქვეყნის ადგილმდებარეობას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ გადამწყვეტი ეს არ არის. გადამწყვეტი ხალხის და მის მიერ არჩეული ხელისუფლების პოლიტიკური გონიერებაა. თუ რამეში არ გაგვიმართლა, ეს ხელისუფალთა უგუნურების ბრალია და არა ადგილმდებარეობისა.

ოდნავ გონიერი ხელისუფლების პირობებში რუსეთთანაც გვექნებოდა ნორმალური ურთიერთობა და აფხაზეთიც და სამხრეთ-ოსეთიც ჩვენთან იქნებოდა. ხშირად მოჰკრავთ ყურს რადიო-ტელევიზიაში „განსწავლულ“, „ჭკვიან“ ქართველთა გამონათქვამებს რუსეთთან მიმართებაში – მას თუ მუდამ არ ასიამოვნე, დაგსჯისო.

ქვეყნის პოლიტიკა თუ მყარ, საზრიან, თანამიმდევრულ და არა ავანტიურისტულ ქმედებაზეა დამყარებული, არც არავინ შეეცდება დასჯას. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის წლებმა უმწიფარი, უგონო, ავანტიურისტი პოლიტიკოსები გვარგუნა, ისეთნი, რომლებიც ომებს იწყებდნენ და აგებდნენ, ტერიტორიებს კარგავდნენ, ქვეყანას ძარცვავდნენ, ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვას მოითხოვდნენ, ნატოს და აშშ-ს გაუსაპნავად უძვრებოდნენ, რითაც რუსეთს იმხედრებდნენ. თუმცა, რაღა წარსულ დროში, აწმყოშიც ასეთნი არ არიან?

გვიკვირს – რუსი პოლიტიკოსები რატომ მისტირიან საბჭოეთის დაშლას, მაგრამ არ გვიკვირს, როდესაც მოვითხოვთ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას. გვიკვირს, რატომ ირჯება დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება საკუთარი სისხლის და ხორცისთვის, უნებლიეთ საზღვარგარეთ აღმოჩენილისთვის. სწორედ ბელოვეჟის საიდუმლო სერობამ გამოიწვია მილიონობით რუსის რუსობის დაკარგვა და დაძალებით გაუკრაინელება, გაყაზახება, გააზერბაიჯანელება, გაყირგიზება და ა.შ.

გორბაჩოვის, ელცინის და იმჟამინდელ სხვათა წყალობით საბჭოთა კავშირში დაძინებულმა მილიონობით რუსმა, უცხოეთში გამოიღვიძა – მეორეხარისხოვნად, დაჩაგრულად, ენაწართმეულად, გალანძღულად. მათი გამოსარჩლება, მათი ტკივილის გაზიარება, მათი დაყვავება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან საბჭოთა კავშირის აღდგენაა?

საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ადგილზე, რომ აფხაზებს ისეთ გაუსაძლის დღეში ჩაეგდოთ იქ შემორჩენილი ქართველები, როგორც უკრაინელები ექცევიან რუსებს? საინტერესოა, რას მოიმოქმედებდა ქართული პოლიტიკა, ერთ მშვენიერ დღეს რომ დაეკარგა ის ეკონომიკური კავშირები, როგორიც რუსეთმა დაკარგა საბჭოთა კავშირის დანგრევით? საბჭოთა პერიოდში შექმნილი სამრეწველო კომპლექსები, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობა საზღვარგარეთ აღმოჩენილიყო?

პუტინის რუსეთს უდიდესი პრობლემები აქვს შექმნილი უკრაინაში არსებული სამხედრო ქარხნების გამო. თუ აღმოსავლეთ უკრაინა ისე არ ღაფავს სულს, როგორც დასავლეთი, ეს რუსული შეკვეთების წყალობითაა. ამ თვალსაზრისით, სამხედრო შეკვეთები გამორჩეულია, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! უკრაინის ხელისუფლებამ მტკიცე უარი განაცხადა რუსეთის დაკვეთების შესრულებაზე. და ეს მაშინ, როდესაც უკრაინის ეკონომიკა კრახის პირასაა. ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო, ასეა საქმე, თუმცა, უკრაინის თვითმარქვია და დილეტანტი „ხელისუფლებისგან“ არც ეს არის გასაკვირი.

გახსოვთ, ალბათ, სულ ახლახან, პუტინის სატელეფონო საუბარი ობამასთან და ობამას დავალება ქერისადმი, რომელმაც ევროპიდან სამშობლოში მიმავალი თვითმფრინავი უკან შემოაბრუნა. ექსპერტების აზრით, მიზეზი აღნიშნულისა არა მარტო უკრაინის არასტაბილური ვითარება იყო, არამედ სხვა უფრო მნიშვნელოვანი – უკრაინის მიერ სარაკეტო ტექნოლოგიების რეჟიმის დარღვევა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად უკრაინამ მიიღო მძლავრი სამხედრო-თავდაცვითი სამრეწველო კომპლექსი, რომელიც შეიცავს სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის წარმოებას. სახელმწიფო საწარმო „იუჟნოე“, რომელიც განთავსებულია დნეპროპეტროვსკში, აწარმოებს კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების სამუშაოებს. აქ კონსტრუირებული რაკეტა SS-18 „სატანა“, დღესაც არის რუსეთის სარაკეტო ჯარების შეიარაღებაში. უკრაინელი სპეციალისტები სისტემატურად აწარმოებენ აღნიშნულ იარაღზე დაკვირვებას, მოდერნიზებას და სასიცოცხლო რესურსის გახანგრძლივებას.

ამერიკელთა მიხედვით, „სატანა“ – მსოფლიოში უმძლავრესი ბალისტიკური რაკეტაა. მისი წარმოება რა ხანია შეწყდა, მაგრამ ტექნიკური დოკუმენტაცია არის „იუჟნოეს“ საკონსტრუქტორო ბიუროში. რუსული შეკვეთების გარეშე უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ვეღარ იარსებებს. თუმცა, არის გამოსავალი – გაყიდვა. სურვილი შეძენისა გამოთქვეს ისრაელმა და ჩინეთმა. ისრაელი, რომელიც სხვა ქვეყნებში გამოვლენილ ანტისემიტიზმს მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, არ რეაგირებს უკრაინელი ფაშისტების მსგავს მოქმედებებზე. უფრო მეტიც, სამკურნალოდ იღებს „მაიდნის გმირებს“, რაც სხვა რაღაცას ნიშნავს – სარაკეტო ტექნოლოგიების ხელში ჩაგდების სურვილს.

რაც შეეხება პეკინს, ისიც არ აფუჭებს ურთიერთობას კიევის „დღევანდელებთან“. მას სურს, კარგი კავშირები ჰქონდეს უკრაინასთან – მიზანი ჩინეთსაც ის აქვს, რაც ისრაელს. პეკინი ფულს არ დაზოგავს სარაკეტო ტექნოლოგიებში. ასეთ ვითარებაში, ობამას სერიოზული საფიქრალი უჩნდება. იმ შემთხვევაში, თუ პეკინი შეისყიდის „სატანის“ ტექნიკურ დოკუმენტაციას, აშშ-ს ლიდერობას წერტილი დაესმება.

ყოველივე აღნიშნული საბჭოეთის დაშლითაა გამოწვეული, რაც 23 წლის წინათ დაიწყო, ტკივილის გამაყუჩებელი წამალი კი არ ჩანს. დუმელთა აზრით, იქნებ იმჟამინდელი ამბების სერიოზულმა გამოძიებამ დაადგინოს ტკივილის გამომწვევი მიზეზები? ხოლო თუ ეს დადგინდა, წამალიც მალე გამოჩნდება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ანტიპიარი, უცოდინრობა, თუ ხალხის უგულებელყოფა?!

მოახლოვდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია ნელ-ნელა ძალას იკრებს. ელექტორატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ წარადგენენ თავს საარჩევნო მარათონში მონაწილე პოლიტიკოსები და როგორ მოაწონებენ თავს ამომრჩეველს.

ერთი შეხედვით არჩევნები იმ შეყვარებული ბიჭების „ჩალიჩს“ ჰგავს, რომლებიც ცდილობენ, თავი მოაწონონ გოგონას, დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა და ამისთვის ხშირად არა მხოლოდ მეგობრისგან ნათხოვარი ავტომობილით გასეირნებას, რომელიმე რესტორანში ვახშამს, ან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით მომავალი ლამაზი ცხოვრების დაპირებას, არამედ ძალისმიერ მეთოდებსაც იყენებენ.

თუ საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მიმდინარე არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით ერთ გამოთქმის სიმართლეში: „თბილისში ერთი და იგივე ქალები თხოვდებიან!“ ჩვენდა სამწუხაროდ, არჩევნებში მუდამ ერთი და იგივე ხალხი მონაწილეობს. მუდამ ერთი და იგივე სახეები ჩანს დაკონსერვებული მშენებლობების საღებავჩამორეცხილ ღობეებზე. მუდამ ერთი და იგივე დაპირებები გვესმის და, რაც ძალიან საინტერესოა, მუდამ ერთი და იგივე ხალხი „დარბის“ ამა თუ იმ კანდიდატის, თუ პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად (პრინციპში ის ხალხი სხვადასხვა არჩევნებზე სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას ემხრობა, მაგრამ ამ წერილისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს სულ სხვა თემაა და იმ ე.წ. „არჩევნებში მხარდამჭერ კასტაზეც“ აუცილებლად შემოგთავაზებთ ჩემს მოსაზრებებს).

გთავაზობთ წერილების ციკლს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიაზე. მათ მიერ ჩატარებულ სხვადასხვა პიარაქციაზე და გამოყენებულ ტექნოლოგიებზე. იმ ქმედებებზე, რომლებმაც გარკვეული გავლენა უნდა იქონიოს ამომრჩეველის განწყობაზე და სულ ცოტა 10%-იანი ცვლილება შეიტანოს იმ რეალურ კვლევებში, რომლებსაც დამოუკიდებელი (ხაზს ვუსვამ — დამოუკიდებელი) ორგანიზაციები აწარმოებენ.

ყველამ კარგად ვიცით, რომ როგორც ყველა ტოტალიტარული რეჟიმი, სააკაშვილის მმართველობაც სწორედ პიარზე იდგა. სააკაშვილმა მოახერხა და თითქმის მთელი ელექტრონული მედია თავის კონტროლს დაუქვემდებარა, ხოლო ისინი, რომლებსაც ვერ აკონტროლებდა, ზეწოლის სხვადასხვა ფორმებით მეტად გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო.

საბედნიეროდ, სააკაშვილის რეჟიმმა ვერ მოახერხა ბეჭდვურ მედიაზე კონტროლის დამყარება და მის წინააღმდეგ ე.წ. „იგნორის“ მეთოდი, ანუ „წერე და იკითხეს“ პრინციპი დაამკვიდრა. რაც არ უნდა დაბეჭდილიყო, რა მასალებიც არ უნდა გამოქვეყნებულიყო, ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ ჩანდა.

სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, გააგრძელოს წინა ხელისუფლების მიერ არჩეული გზა და ხშირად უყურადღებოდ ტოვებს გამოქვეყნებულ მასალებს თუ მწვავე სიუჟეტებს. მაგრამ ამ საკითხზეც შემდეგ ვისაუბროთ. ახლა კი იმ ე.წ. პიარტექნოლოგიებს გადავავლოთ თვალი, რითაც წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

მოდით, ვნახოთ თბილისის მერის არჩევნებში მთავარი მოთამაშეების, „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატთა წინასაარჩევნო პიარის რამდენიმე ნიუანსი. რადგანაც წინასაარჩევნო კომპანია ოფიციალურად ახლა შევიდა ძალაში, ამიტომ ჯერ ბევრი შეცდომა არ დაუშვიათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათი პოლიტტექნოლოგებისა და პიარმენეჯერების წყალობით ეს „სიამოვნება“ არ მოგვაკლდება.

ამ ბოლო დროს ძალიან „შემოვიდა მოდაში“ რომელიმე პოლიტიკური „მოღვაწის“ რელიგიურობაზე ყურადღების გამახვილება და მისი ღრმადმორწმუნე პიროვნებად წარმოჩენა. არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ რამდენად ჯდება ეთიკურ ნორმებში ეკლესიის „გამოყენება“ ამა თუ იმ პიროვნების დადებითი კუთხით საჩვენებლად. არ ღირს, რადგანაც რაც არ უნდა ვწერო, ე.წ. პიარტექნოლოგები თვლიან, რომ ხალხის თვალში რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე მისული პოლიტიკოსი უფრო „COOL“ გამოჩნდება, რაც რეალობას ნამდვილად არ შეესაბამება, მაგრამ არა უშავს, საკუთარ თავს დააბრალონ.

მოდით, ვნახოთ, როგორ წარმოჩინდნენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე თბილისის მერობის კანდიდატები და რა შეცდომები დაუშვეს მათმა პიარ მენეჯერებმა.

დღესასწაულზე ნაციონალური მოძრაობაც და ქართული ოცნებაც გამოჩნდნენ, მაგრამ ქართული ოცნებისგან განსხვავებით, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მხოლოდ სამების საკათედრო ტაძრით არ დაკმაყოფილდნენ. ისინი კათოლიკურ, გრიგორიანულ და ბაპტისტურ ეკლესიებსაც ესტუმრნენ და რადგანაც წელს აღდგომის დღესასწაული ყველა კონფესიაში ერთმანეთს დაემთხვა, იგი ქრისტიანობის სხვა მიმართულებების წარმომადგენლებსაც მიულოცეს.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა ნაციონალური მოძრაობის ოფისში დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე.

სავარაუდოდ გიგი უგულავას კაბინეტში ხელების ფშვნეტით და აბსოლუტურად კმაყოფილი სახით შეიჭრებოდა პიარმენეჯერი და დაახლოებით ისეთი ხმით, როგორც არქიმედემ შესძახა აბაზანაში ევრიკაო, შესძახებდა: **— გაგვიმართლა! წელს აღდგომას ყველა 20 აპრილს აღნიშნავს. ყველა კონფესიას უნდა მივულოცოთ აღდგომა და მათ ხმებს ჩვენსკენ წამოვიღებთ. მართლმადიდებლები მაინცდამაინც არ გვწყალობენ, ამიტომ მათ ტაძრებში უბრალოდ გამოვჩნდეთ. სხვებს კი გულით მივულოცოთ. სხვა დღეს რომ ყოფილიყო, მაინცდამაინც დიდი ეფექტი არ ექნებოდა, უბრალო პიარად ჩათვლიდნენ. 20-ში კი აშკარად დაინახავენ ჩვენს განწყობას.**

ტექსტის სიზუსტეზე თავს არ დავდებ, მაგრამ ძირითადი აზრი ნამდვილად ეს იქნებოდა.

იქვე ჩამოწერდნენ მიმლოცველთა და ტელეკამერების წინ მოსაუბრეთა სიასაც.

სააკაშვილს შესანიშნავად ესმოდა პიარის ყველა ნიუანსი. როგორც კი დაინახა, რომ გიგა ბოკერია, მაია ნადირაძე და ნინო კალანდაძე ხალხს აღიზიანებდნენ, მაშინვე მოაშორა ისინი ტელეკრანებიდან.

სოციალურ ქსელ ფეისბუქში მეორე დღესვე გავრცელდა სტატუსი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„ამ ე.წ. ჟურნალისტების ნამდვილად გამკვირვებია. უგულავას რომ მიალოცვინეთ საქართველოსთვის აღდგომა და მიაწერეთ: — გიგი უგულავა, ნაციონალური მოძრაობის წევრია, სხვა პარტიების წევრებმა დააშავეს რამე?

თუ საპარლამენტო ოპოზიციური პარტია გინდათ, დავით ბაქრაძემ წახლი გკრათ? თუ თბილისის მერია გინდათ — სევდია უგრეხელიძე იეღოველია, თუ შამანის საყვარელი? თუ კრიმინალი და პასუხისგებაში მიცემული ადამიანი, მაგის მეტი რა გვყავს საქართველოში?

ისე გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რამდენი გადაიხადა უგულავამ ტელევიზორში რომ გეჩვენებინათ (თუ თქვენი ინიციატივით ალაპარაკეთ, მაშინ ჟურნალისტები კი არა, ჩვეულებრივი იდიოტები ყოფილხართ).

პრინციპში ამ სტატუსით თითქმის ყველაფერია ნათქვამი და, რაც მთავარია, კარგად ჩანს როგორც მედიის წარმომადგენელთა „პროფესიონალიზმი“ (არ მინდა კორუფციაზე ვილაპარაკო), ისე ნაციონალური მოძრაობის დამოკიდებულება ქართველი ამომრჩევლის და ქართული საზოგადოების მიმართ.

მათ ფაქტობრივად „ფეხებზე ჰკიდიათ“ ამომრჩევლის განწყობა და სპეციალურად ცდილობენ საზოგადოების გაღიზიანებას, რათა ხალხმა თავიანთი რისხვა ე.წ. კოჰაბიტაციის შემოქმედთ დაატეხოს თავზე, ან იმდენად აქვთ მოგვარებული ყველაფერი ოცნების ლიდერებთან, რომ პიარი მხოლოდ სხვა მიმართულებით სჭირდებათ.

თუ ეს ასე არ არის, მაშინ გამოდის, რომ ნაციონალური მოძრაობის დღევანდელმა პიარშჩიკებმა ან ხალხის რეალური (და არა ნავაროსეული) დამოკიდებულება არ იციან, ან ვერ უბედავენ უგულავას იმის თქმას, რომ მისი ტელეეკრანებზე გამოჩენა ხალხს აღიზიანებს, პიარის ნაცვლად ანტიპიარი გამოსდის და უმჯობესია რომ ცოტა „ჩაიჩოჩოს“.

სრულიად მოსალოდნელია, გიგი უგულავამ კარგად იცოდეს, რომ ნიკანორ მელია არჩევნებს ვერ მოიგებს (დიახ ნიკანორი და არა „სვეტსკურად“ ნათქვამი „ნიკა“ (გვინდა ქალაქის მერად ისეთი კაცი, ვისაც თავისი სახელის რცხვენია?). რა მაგის პასუხია და ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ფეხბურთის ფანია, ასეთი რამ მითხრა: ქართულ ფეხბურთს მაშინ „დაერხა“, როცა რამაზი, მანუჩარი, თენგიზი და დავითი, რეზიკომ, შოთიკომ და აჩიმ ჩაანაცვლესო. ცხადია, მიხვდით, რომ ის თამაშის ტექნიკას კი არა, სულ სხვა რამეს გულისხმობდა. იგივე მოხდა პოლიტიკაშიც. პრეზიდენტი — მიშა, მინისტრი — გოკა, კანონმდებელი — ჩიორა დ.ა.შ).

მოდით ახლა ვნახოთ, თუ როგორ ჩაატარა სააღდგომო პიარკამპანია ქართული ოცნების კანდიდატმა დავით ნარმანიამ.

საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას ამ შემთხვევაშიც სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოქვეყნებული სტატუსით გაგაცნობთ.

„ისე რა მაგის პასუხია და, ნარმანია აღდგომაზე თავის სოფელ კოკში რომ წასულიყო, წინაპრების, ნათესავების საფლავებზე გასულიყო და იქედან მოელოცა აღდგომა, ძაااااااალიან უფრო დადებითი მუხტის მომცემი იქნებოდა, ვიდრე მისი სამებაში ყოფნა.

1. ოცნების ერთ-ერთი „ლიდერი“ რომ არ ყოფილიყო, ვინ მიასუნინებდა იმ ადგილას? (უკვე მერი რომ იყოს, ბაზარი არაა, მარა ჯერ... ე.ი. ისევ პარტიული საშვებია საჭირო სამებაში შესასვლელად. რაც ძალიან სამწუხაროა).

2. ეგ საკუთარ გარდაცვლილებს და ცოცხალ ნათესავებს (რომლებიც ვინ იცის როგორ ელოდებოდნენ, რა არ მოამზადეს და ა.შ.) არ სცემს პატივს და ჩვენ რას გვიზამს?

3. რავა ჟურნალისტები სოფელ კოკის ეკლესიაში არ წაყვებოდნენ?

ეეეჰ, ოცნება ვერ მუშაობს.“

ფაქტობრივად აქაც ყველაფერია ნათქვამი.

თბილისს მერად ხოხბების ფერმის გამგის შთამომავალი კი არა, ისეთი ადამიანი სჭირდება, ვინც წინაპრების დაფასება იცის, ვინც სპეცსაშვისთვის კი არ „იჩალიჩებს“, არამედ ხალხთან ერთად დადგება და ვისაც თბილისელობა „გასტრონომთან „პივის“ დალევა“ კი არა, ცოტა უფრო მეტი რამე ჰგონია.

მოკლედ რომ ვთქვა, წინასაარჩევნო პიარი არც ერთს არ უვარგა. ვნახოთ, როგორ შეიცვლიან მუხტს და კიდევ რა ახალ „ნოვაციებს“ შემოგვთავაზებენ.

მე ვაკვირდები და, მზად ვარ, გაგიზიაროთ ყველა დადებითი თუ უარყოფითი ნიუანსი, რასაც 15 ივნისამდე აღვნუსხავ.

გია გაბრიჭიძე

◎ ალიან-ჩალიანი

მინისტრთა კაბინეტის წევრები საკადრო ცვლილებების საჭიროებას ვერ ხედავენ

მინისტრთა კაბინეტის წევრები საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურნენ.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ განაცხადა, მას არაერთხელ განუცხადებია და პრემიერმაც აღნიშნა, რომ მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები არ იგეგმება.

როგორც დარახველიძემ აღნიშნა, რაც შეეხება იმას, რასაც მასზე ცალკეული მედიასაშუალებები წერდნენ, იმ ფარგლებში ჯდება, რომ ის იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან პროვოცირებული თემები, რადგან დევნილთა მიმართ განხორციელებული პოლიტიკა ბოლო წელიწად-ნახევრის მანძილზე აშკარად წარმატებულია.

კითხვაზე, რას უწუნებს მას „ნაციონალური მოძრაობა“, დარახველიძემ უპასუხა: „ალბათ, გარეგნობას, ძირითადად და ასაკს. ამას მეც ვუწუნებ საკუთარ თავს, მაგრამ რა ვქნა“.

ამასთან, როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმაც აღნიშნა, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებზე საუბარი არ ყოფილა, არ არის და ის ვიღაცის მიერ შემოგდებული თემაა. „ამ თემას საზოგადოება ხშირად უსაფუძვლოდ აბურთავებს ხოლმე, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კი აღნიშნა, რომ როდესაც პრემიერს მათი გაფრთხილება უნდა, არ ერიდება და აფრთხილებს. რაც შეეხება კითხვას, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 53-ე სკოლაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, შეიძლებოდა განათლების მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი რამ პირველად ესმის. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ კი აღნიშნა, რომ დღეს მინისტრთა კაბინეტში ცვლილებების არანაირი საჭიროება არ არის, რადგან მინისტრთა კაბინეტი ეფექტურად მუშაობს.

ინტერპრესი

◉ აგროდაზღვევა

მდგრადობის საწინდარი

სადაზღვევო საქმიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სეგმენტში დიდი სარგებელი რომ მოაქვს, ამაში ყველანი კარგა ხანია, დავრწმუნდით. საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და ამ ტიპის დაზღვევებზე რომ არაფერი ვთქვათ, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკლებლივ ყველა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკებისთვის, თუმცა, განსაკუთრებულად დიდ როლს ასრულებს იგი მაღალი რისკის შემცველ დარგებში, რომელთა შორის გამორჩეულია სოფლის მეურნეობა.

ამ მიმართულებით წლების მანძილზე საქართველოში შექმნილი ვითარება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, რადგან კომერციული ბანკები სოფლის მეურნეობაში განსახორციელებელი პროექტებისა თუ დაბანდებების დაზღვევას მაქსიმალურად გაურბოდნენ, ანდა სრულიად მიუღებელ პირობებს აყენებდნენ. ასეთი ვითარება ჩვენი აგრარული ქვეყნისთვის, სადაც სოფლად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს, დასაქმების დონე კი დაუშვებლად დაბალია, კატასტროფის ტოლფასი იყო. ამდენად, როცა ცნობილი გახდა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა რამდენიმე თვის წინათ საკანონმდებლო დონეზე გადაწყდა და შესაბამისი მუშაობაც დაიწყო, საზოგადოება, ექსპერტები ამას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ. ამჟამად საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრები სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად აგროდაზღვევის კონცეფციაზე მუშაობენ, რასთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე სამუშაო შეხვედრა შედგა.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის **გიგლა აგულაშვილის** განცხადებით, **დაზღვევის სეგმენტის გაძლიერება – სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის მწყობრი სისტემის ამოქმედება ორმხრივად – გლეხებისთვისაც და მზღვეველებისთვისაც დიდი სარგებლის მომტანი საქმეა.**

პარლამენტარის თქმით, კონცეფცია, რომლის ჩამოყალიბებაზე ამჟამად აგრარული კომიტეტის წევრები და სადაზღვევო დარგის სპეციალისტები მუშაობენ, სამი მხარის მონაწილეობას ითვალისწინებს: **მათ შორის პირველია გლეხი (ან, ვთქვათ, კოოპერატივი), მეორე – სადაზღვევო ინსტიტუტი, მესამე კი – სახელმწიფო. თუ აგროდაზღვევის პროცესში პირველი ორი, ფერმერისა და მზღვეველის როლები და ფუნქციები სავსებით გასაგებია, მესამე „მოთამაშე“, ანუ სახელმწიფო მათ შორის ერთგვარი შუამავლის როლს შეასრულებს,**

რომელიც, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის მეწარმე სუბიექტისთვის სტიმულის მიმცემი, მეორე მხრივ კი, საქმიანობის ჯანსაღად წარმართვის ერთგვარი გარანტორი იქნება.

სადღეისოდ პარლამენტში მუშაობა იმ მიმართულებით მიმდინარეობს, თუ რამდენად აქტიური უნდა იყოს სახელმწიფოს როლი აგროდაზღვევის პროცესის წარმართვაში, რათა იგი ორივე მხარისთვის რაც შეიძლება მეტად ხელსაყრელი იყოს. კერძოდ, პარლამენტარები და დაინტერესებული **სპეციალისტები საქართველოსთვის ყველაზე ვარგისად მიიჩნევენ აგროდაზღვევის ესპანურ მოდელს, რომელიც სახელმწიფოს მიერ მის სუბსიდირებას ითვალისწინებს.**

უნდა ითქვას, რომ აგროდაზღვევის ესპანურ მოდელში სახელმწიფოს ამ პროცესის ერთგვარი წამხალისებლის, გარკვეული კატალიზატორის როლი აკისრია. პროცესის ფარგლებში აგროდაზღვევა სახელმწიფოს ხარჯით და სხვადასხვა ფორმით განხორციელდება, რომელთა დახვეწაზე ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო სახსრებით დაზღვევის პრემიის გარკვეული ნაწილის დაფარვა და ზოგიერთი სხვა.

ზოგადად კი, აგროდაზღვევას სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უდიდესი როლის შესრულება შეუძლია, ვინაიდან ორმხრივი დაინტერესების მიუხედავად, ცალკე სადაზღვევო სექტორს და ცალკე ფერმერებს ერთმანეთისგან განცალკევებულად წარმატების მიღწევა ერთობ უჭირთ. აგროდაზღვევის პროცესში სახელმწიფოს ჩართვაც სწორედ იმითაა განპირობებული, რომ სახელმწიფომ მათ შორის შუამავლის ფუნქცია უნდა შეასრულოს. ამდენად, აგრარული კომისიის მუშაობა შესაბამისი მოდელის ჩამოყალიბებაზეა მიმართული, რომ რისკების მართვა ერთობლივად განხორციელდეს, ხოლო თავად აგროდაზღვევა რაც შეიძლება მეტი გლეხისთვის გახდეს ხელმისაწვდომი. რაც შეეხება აგროდაზღვევისთვის საჭირო სახსრებს, ამ საკითხს კონკრეტულად კონცენფციის მკაფიოდ ჩამოყალიბების შემდგომ განიხილავენ.

აგროდაზღვევის ესპანური მოდელის გამორჩეულობას მუშა ჯგუფის წევრი, ფერმერთა ასოციაციის წევრი ნინო ზამბახიძეც აღნიშნავს. მისი თქმით, მასში ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორია გათვალისწინებული, პრაქტიკულად სამოქმედოდ კი დახვეწილი მექანიზმებია შემუშავებული, რომლებსაც საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილ რეალობაზე მორგება ესაჭიროებათ, თუმცა კი გარკვეულ დროს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ჩვენს აგრარულ სექტორში რისკების ჯეროვნად შეფასების მექანიზმები არ არის, ამიტომ აგროდაზღვევაში სახელმწიფოს ჩართვა პროცესს მეტად საჭირო მდგრადობას შესძენს. გლეხების, მზღვეველებისა და სახელმწიფოს სამმხრიანმა სისტემამ აგროდაზღვევის განვითარება უნდა განაპირობოს, რაც სამამულო სოფლის მეურნეობას დიდად უნდა წაადგეს.

ოთარ ტურაბელიძე

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (#802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **დოეს-გრაკალის სარწყავი სისტემის I და სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია (III ეტაპი), გორის და კასპის რაიონები,** კონტრაქტით **№:*A/W/NCB-2014/04***

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **5 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 24 აპრილიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:
ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;
გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2014 წლის 15 მაისის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

◉ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მალადეც ბილ გეიტს! სკაიპით გინდა ბიბლიოთეკას გახსნი, გინდა დამნაშავეს დაკითხავ, გინდა ქურდად აკურთხებ. ეგ კი არა და დაკრძალვასაც დაესწრო ერთი ჩვენი ემიგრანტი სკაიპით (ლეპტოპი შემოატარეს მიცვალებულს)... ცოტა სექსი უჭირს, მარა ეგეც მალე იქნებაო.

● ისე, რა მაგის პასუხია და ნარმანია აღდგომაზე თავის სოფელ კოკში რომ წასულიყო, წინაპრების, ნათესავების საფლავებზე გასულიყო და იქედან მოელოცა აღდგომა, ძააააააალიან უფრო დადებითი მუხტის მომცემი იქნებოდა, ვიდრე მისი სამებაში ყოფნა.

1. ოცნების ერთ-ერთი „ლიდერი“ რომ არ ყოფილიყო, ვინ მიასუნინებდა იმ ადგილას? (უკვე მერი რომ იყოს, ბაზარი არაა, მარა ჯერ ისევ პარტიული საშვებია საჭირო სამებაში „შესასვლელად“, რაც ძალიან სამწუხაროა).

2. ეგ საკუთარ გარდაცვლილებს და ცოცხალ ნათესავებს (რომლებიც ვინ იცის როგორ ელოდებოდნენ, რა არ მოამზადეს დ.ა.შ) არ სცემს პატივს და ჩვენ რას გვიზამს?

3. რავა, ჟურნალისტები სოფელ კოკის ეკლესიაში არ წაყვებოდნენ?

ეეეჰ, „ოცნება“ ვერ მუშაობს.

● ღმერთო წაიყვანე დეფი და დაგვიბრუნე მარკესი.

● არანაირი ფიფლმეტრი და ფოკუსნიკობა არ უნდა ტელევიზიების რეიტინგის განსაზღვრას... იგივე ხალხი ქმნის ტელევიზიების რეიტინგს, ვინც ხელისუფლებას ირჩევს. „რუსთავი 2“-ზე რო აბოდებდეს ხალხს – ნაციონალები ხელისუფლებაში იქნებოდნენ.

● მიხეილ სააკაშვილი კიტრის მწნილის გახსნას ვაპირებ და სკაიპით ჩამერთვები?

● პირველი პოლიტპატიმარი უკვე გვყავს, ვინ გახდება პირველი აგენტი?

● „თინა ხიდაშელი: დიახ, უკრაინაში რუსეთი მოქმედებს

ipn 2014-04-22 18:26:17

დიახ, უკრაინაში ამერიკაც მოქმედებს!

ეს-ესაა აჩვენეს კიევში ჩასული ამერიკელი მაღალ(ძალზე)ჩინოსნები (გვარები არ მახსოვს, ხიდაშელს ჩემზე უკეთ ეცოდინება.)

გეოპოლიტიკურად ვისთან უფრო ახლოა უკრაინა და ვისი მოქმედება უფრო სამართლიანი და ლოგიკურია, ტავარიშჩ დიახ ხიდაშელი?!

● ფინანსთა სამინისტროს ბანკეტის მენიუს გამოქვეყნებაზე რომ დაუდგება საქმე, ქვეყანაში ან ძალიან კარგადაა ყველაფერი, ან ძალიან ცუდად.

თქვენ რომელი გგონიათ?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◉ ალიან-ჩალიანი

საყდრისის საკითხს უცხოელი ექსპერტები შეისწავლიან

საყდრისთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლის მიზნით უცხოელი ექსპერტები საქართველოში ერთ კვირაში ჩამოვლენ.

ამის შესახებ კულტურის მინისტრმა, გურამ ოდიშარიამ განაცხადა.

– ჩვენი გეგმაა, რომ უნდა ჩამოვიდნენ ექსპერტები უცხოეთიდან. ყველაფერი იქნება ისე, როგორც გაწერილია ჩვენს მიერ ხელმოწერილ ბოლო დოკუმენტში. ასევე განხორციელდება ინსპექტირებაც, როგორც წესი და რიგია, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ახორციელებს. ექსპერტები საქართველოში დაახლოებით ერთ კვირაში უნდა ჩამოვიდნენ, – აღნიშნა ოდიშარიამ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

პირობები საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისთვის

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ შეხვედრას შეხვედრისთვის აზრი არა აქვს

რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა, როგორც ჩანს, მალე არ გაიმართება. როგორც საქართველოს ლიდერმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, იმისთვის, რომ ეს შეხვედრა გაიმართოს, საჭიროა დრო და „შესაბამისი ვითარებანი“. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე უნდა შეეხოს „ყველაზე მნიშვნელოვან, აქტუალურ და რთულ საკითხებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში“ და ამ შეხვედრის გამართვას თავად ფაქტის გულისთვის, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, „უბრალოდ, აზრი არა აქვს“.

„თქვენ გახსოვთ ვლადიმერ პუტინის რეპლიკა იმის შესახებ, რომ იგი არ იქნებოდა წინააღმდეგი ამ შეხვედრისა, მაგრამ სინამდვილეში რეპლიკას არ მოჰყოლია რაიმე შინაარსი. ჩვენ ასევე განვაცხადეთ, რომ მზად ვართ შევხვდეთ და განვიხილოთ საკითხები, თუმცა, საკითხებს, რომლებიც შეეხება რუსეთსა და საქართველოს შორის მტკივნეულ თემას და ასეთ შეხვედრას, აუცილებლად სჭირდება სერიოზული მოსამზადებელი ეტაპი“, — თქვა მარგველაშვილმა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში.

მან ასევე აღნიშნა, რომ მზადება შეხვედრისთვის ჯერჯერობით არ მიმდინარეობას, თუმცა, ხაზგასმით მიუთითა, რომ დაინტერესებულია ვლადიმერ პუტინთან შეხვედრით იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, განიხილოს „მტკივნეული თემები“.

შეგახსენებთ, რომ 10 თებერვალს ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მზადაა შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს იმ შემთხვევაში, თუ მას ასეთი სურვილი ექნება. ამის პასუხად გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა რომ, თუ რუსეთის პრეზიდენტს სურვილი აქვს, განიხილოს მასთან „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული პრობლემური თემები“, იგი მზადაა „გამართოს კონსულტაციები“. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე გამოთქვა მზადყოფნა შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს.

„აშკარა საფრთხე არ არის“

საქართველოს პრეზიდენტმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ასევე განუცხადა, რომ, მართალია, სიტუაცია მსოფლიოსა და რეგიონში არასტაბილურია, „არ ღირს, გადაჭარბებით შევაფასოთ საფრთხე“, რასაც რუსეთი წარმოადგენს და აღნიშნა, რომ იგი, ამ ეტაპზე, „ვერ ხედავს ღია საფრთხეს“ რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

„დღეისთვის რუსეთს არ გადაუდგამს რაიმე აშკარა დამაშინებელი ნაბიჯი და იმედი მაქვს, რომ არც გადადგამს.

მთელ მსოფლიოში შეიცვალა ვითარება და, ბუნებრივია, ამის შესაბამისად, ჩვენ თავს ვგრძნობთ ნაკლებად დაცულებად. შესაძლო სცენარების შესახებ შეიძლება ვისაუბროთ ცალკე, მაგრამ ამ მომენტისთვის რეალური სახიფათო ნაბიჯები არ არის, და ალბათ, არც იქნება“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მისი სიტყვებით, რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წელს იყო იმის „რეპეტიცია“, რაც ყირიმში მოხდა. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სახეზე გვაქვს „გლობალური წესრიგის დარღვევა“, რომელიც დამყარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა მიუთითებს იმაზე, რომ მოსკოვს აქვს „განსაკუთრებული ინტერესის სფეროები“ და ეს არის ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორია.

შეგახსენებთ, რომ თბილისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობანი მოსკოვთან 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად. საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივით 2012 წელს დაიწყო პირდაპირი დიალოგი საქართველოს და რუსეთის წარმომადგენელთა შორის. მიუხედავად ურთიერთობებში შედარებითი „დათბობისა“, თბილისი აცხადებს, რომ არ შეუძლია აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობანი მანამ, სანამ რუსეთი არ შეწყვეტს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას და უკან არ გაიწვევს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. თუმცა, მოსკოვი აცხადებს, რომ არ შეცვლის 2008 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ.

„არა გაცვლა“

ამ დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პატიმრობიდან გაათავისუფლეს სამი ქართველი მოქალაქე, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ რუსეთში ჯაშუშობაში საქართველოს სასარგებლოდ. თუმცა, თბილისმა უარი განაცხადა გაახმაუროს მათი გვარები.

„ჩემი ინფორმაციით, გაათავისუფლეს სამი კაცი. ეს დადასტურდა კარასინ-აბაშიძის შეხვედრის შემდეგ. ცნობილია, თუ ვინ არიან ისინი. ბუნებრივია, მე არ მინდა დავასახელო მათი გვარები იმის გათვალისწინებით, რომ აქ არის ადამიანური მომენტები, თუმცა, ეს პროცესი უკვე დამთავრდა“, — განაცხადა 22 აპრილს ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ზალკალიანმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულ 190 პირთა შორის, რომლებიც გაათავისუფლეს 2013 წლის იანვარში, იყო ოთხი მოქალაქეც, რომლებიც გაასამართლეს ჯაშუშობისთვის რუსეთის სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ, რომელიც 2012 წლის დეკემბრიდან რეგულარულად აწყობს შეხვედრას პრაღაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა, რომ ვადამდელი გათავისუფლების ეს ფაქტები არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც „მზვერავების გაცვლა“.

„ეს არ არის გაცვლა. უბრალოდ, საქართველოს მხარემ თავის დროზე გამოხატა კეთილი ნება. და რუსეთმაც, თავის მხრივ, გადადგა საპასუხო ნაბიჯი“, — განაცხადა აბაშიძემ, რომელმაც, ამავე დროს, არ დააზუსტა, კიდევ საქართველოს რამდენი მოქალაქე დარჩა რუსეთის ციხეებში, ვინც გაასამართლეს ჯაშუშობისთვის. **„იყო დაპატიმრების შემთხვევები ჯაშუშობის ბრალდებით ქართული გვარით, მაგრამ რამდენია მათგან საქართველოს მოქალაქე, ჩვენ ზუსტად ჯერ არ ვიცით“,** — აღნიშნა დიპლომატმა.

ამავე დროს, არაოფიციალური ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად 2008 წლის აგვისტოში, რუსეთში გაასამართლეს 19 მოქალაქე საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გამო.

„წვერებიანი მამაკაცი“

21 აპრილს ტელეარხ „სი-ენ-ენ“-თან ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაციის უკან დგას რუსეთი, რაც, მისი სიტყვებით, ასევე დასტურდება ფოტოდამოწმებებით, „წვერებიანი მამაკაცის“ სურათების ჩართვით, რომელიც აშკარად იყო საქართველოში დაზვერვის მთავარი სამმართველოს აგენტი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა ამასთან დაკავშირებით თავის კომენტარებში განაცხადა, რომ არ გააჩნია კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა, აღნიშნა დიპლომატმა, თბილისს ეჭვიც არ ეპარება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების სისწორეში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

დასავლეთში ფიქრობენ ჟენევა-2-ის მოლაპარაკებაზე უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით

დასავლელმა ჩინოვნიკებმა აღიარეს, რომ შეთანხმება უკრაინასთან დაკავშირებით საფრთხის ქვეშაა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი სულ უფრო და უფრო იქით სწევენ გადაწყვეტილებას ახალი სანქციის შემოღებაზე რუსეთის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით იმის იმედით, რომ დიპლომატები შეძლებენ, გადაარჩინონ სიტუაცია უახლოეს რამდენიმე დღეში, წერს „დი გარდიანი“.

ბიმოშენკო კვლავ ჩავიდა დონეცკში პრორუსულ აქტივისტებთან მოლაპარაკებისთვის. მომხრეებმა დაგმეს ექსპრემიერი

პრეზიდენტობის კანდიდატი იულია ტიმოშენკო, რომელიც წინასაარჩევნო რბოლის ლიდერს პიოტრ პოროშენკოს ორჯერ უფრო მეტად ჩამორჩება, აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებას დონეცკის აქტივისტებთან, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ადმინისტრაციის შენობა. პოლიტიკოსმა მათ შესთავაზა ამნისტია და ქვეყნის დეცენტრალიზაცია, რამაც მის მომხრეთა აღშფოთება გამოიწვია.

ბოლივიის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ნებას იძლევა, ჩამოაგდონ ნარკოტიკების გადამზიდი თვითმფრინავები

აქამდე ბოლივიელი სამხედროები მხოლოდ იჭერდნენ ნარკომოვაჭრეების თვითმფრინავებს, თუმცა, მათ არ ბომბავდნენ. ამასთან დაკავშირებით ევო მორალესმა აღნიშნა, რომ ნარკომოვაჭრეები დაუსჯელად იყენებდნენ პატარა თვითმფრინავებს თავიანთი ტვირთების გადასატანად. მან ასევე აღიარა, რომ ბოლივიას თავისი საჰაერო სივრცის დასაცავად რადარები სჭირდება.

ევროკავშირმა ჩერნოგორიის მცხოვრებლებს მოუწოდა, არ გაუწიონ წინააღმდეგობა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკას ნატოში შესვლასთან დაკავშირებით

რუსეთი წინააღმდეგია ბალკანეთის ქვეყნის ინტეგრაციისა სამხედრო ალიანსში. რუსეთის ფედერაცია რამდენიმე წლის განმავლობაში ინვესტირებას უწევდა ჩერნოგორიის ეკონომიკას დაახლოებით ორი მილიარდი ევროს ოდენობით. მაგრამ პოდგორიცე ნატოში შესვლას მთავარ ეროვნულ ამოცანას უწოდებს.

„ქართლის ცხოვრება“ ინგლისურ ენაზე გამოვიდა

ქართულ კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ძველი ქართული საისტორიო წერილობითი ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ ინგლისურ ენაზე გამოცემა (გამომცემლობა „არტანუჯი“). ცნობილია, რომ 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ეს ძეგლი ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა. სწორედ ეს, ახალი, 2008 წლის გამოცემები იქცა ინგლისური თარგმანის საფუძვლად. ალბათ, ზედმეტია ლაპარაკი ახალი ინგლისური გამოცემის მნიშვნელობაზე. პირველად საქართველოს ისტორიაში მსოფლიო საზოგადოებას საშუალება მიეცა, სრულყოფილი სახით გაეცნოს (ცალკეული ფრაგმენტები ადრეც არსებობდა ევროპულ ენებზე) უპირველეს ქართულ წერილობით წყაროს „ქართლის ცხოვრებას“. ამაზე მოთხოვნაც საკმაოდ დიდია და, ვფიქრობთ, ახალი გამოცემა არა მარტო უცხოელ ქართველოლოგ მეცნიერებში, არამედ მთელ სამეცნიერო საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

თარგმანი შეასრულეს ცნობილმა ანგლისტებმა: არიანე ჭანტურიამ („მატიანე ქართლისა“) დიმიტრი გამყრელიძემ (ლეონტი მროველის თხზულება, ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, „ასწლოვანი მატიანე“)და მედეა აბაშიძემ (არჩილის წამება, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“). ინგლისური ტექსტის რედაქტირება ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ პროფესორს (წარმოშობით ინგლისელს), ქართველოლოგს (ქართული ენის შესანიშნავ მცოდნეს), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს სტივენ ჯონსს.

რა შეიძლება ითქვას ზოგადად „ქართლის ცხოვრებისა“ და კერძოდ ამ გამოცემის შესახებ. ქვეყნის თავგადასავლის, მისი ისტორიის სრულყოფილი წარმოჩენა ძირითადად წერილობითი წყაროებითაა შესაძლებელი. ქართული ისტორიული ხასიათის თხზულებები ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მოგვეპოვება. ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლი, საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის ერთადერთი გაბმული წერილობითი წყარო, და ამასთან, ქვეყნის ოფიციალური ისტორიაა. **„სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს იდეურ-პოლიტიკურ საყრდენს წარმოადგენდა. „ქართლის ცხოვრება“ ძველთაგან „პატიოსან“ და „წმინდა წიგნად“ იყო მიჩნეული და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად პატარძლებს მზითვებში ატანდნენ.**

„ქართლის ცხოვრებაში“ სხვადასხვა ავტორის ისტორიული თხზულებანი ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა შეტანილი, რაც ერთიანი ისტორიის სურათის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა იზრდება იმით, რომ მასში უშუალოდ საქართველოსა და ქართველების ისტორიის გარდა გადმოცემულია ცნობები სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის (სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების, ყაბარდოელების, ლეკებისა და დაღესტნის, სხვა ხალხების, ბერძნების, რომაელების, სპარსელების, არაბების, ბიზანტიელების, ოსმალების, მონღოლებისა და სხვ.) წარსულის შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლას დიდი ამაგი დასდო ვახტანგ VI-მ (1675-1737 წწ.), რომლის მიერ შექმნილმა „სწავლულ კაცთა“ ჯგუფმა (კომისიამ) მნიშვნელოვანი შრომა გასწია. მათ შეძლებისდაგვარად დაადგინეს ტექსტი, მოახდინეს მისი რედაქტირება და შევსება-გაგრძელება. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში არაერთგზის იქნა გადაწერილი (უპირატესად, ვახტანგისეული რედაქციისა), რის შედეგადაც ჩვენამდე მოღწეულია ოცამდე ხელნაწერი. 1849 წელს აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ მომზადებული „ქართლის ცხოვრება“ გამოსცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. მეცნიერმა ეს წიგნი ფრანგულად თავის ხელთ არსებული XVIII საუკუნის სამი ხელნაწერის მიხედვით თარგმნა, დაბეჭდა და პრაქტიკულად მსოფლიო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

„ქართლის ცხოვრების“ შემდგომი კვლევა კი კვლავ გრძელდებოდა XIX-XX საუკუნეებში. აღმოჩნდა ვახტანგისეული რედაქციის ახალი ნუსხები და, რაც მთავარია, XV-XVII საუკუნეების, ე.ი. ვახტანგამდელი ხუთი ხელნაწერი. ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ 1884 წელს აღმოაჩინა XVII საუკუნის „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული (ქართლის მეფის, როსტომის მეუღლის) ნუსხის პირი (ხელნაწერის დედანი 1633-1646 წლებში უნდა ყოფილიყო გადაწერილი, ხოლო პირი XVIII ს-ის 30-იანი წლებისაა), რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა 1906 წელს გამოაქვეყნა. ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-30). 1913 წელს ივანე ჯავახიშვილმა სოფელ ლამისყანაში, ა. ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში აღმოაჩინა ხელნაწერი, რომელიც ცნობილია „ანასეულის“ სახელით, რადგან მის ანდერძში ნათქვამია, რომ იგი გადაიწერა კახთა მეფის ალექსანდრეს (1476-1511 წწ.) მეუღლის, დედოფალ ანას ბრძანებით. ხელნაწერი, რომელიც 1942 წ. გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, ანა დედოფლისეული ნუსხის გვიანდელ პირს წარმოადგენს (XVII ს.), დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Q-795). 1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა და შეისწავლა „ქართლის ცხოვრების“ ის ხელნაწერი, რომელიც დღეს „ჭალაშვილისეულის“ სახელით არის ცნობილი (Q-207). ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. ძველი ტექსტი XVII საუკუნის დასაწყისისაა. ხელნაწერის დაკლებული და დაკარგული ნაწილები (დასაწყისი და ბოლო) ერაჯ ჭალაშვილს გადაუწერია ვახტანგისეული რედაქციის ნუსხიდან (1731წ.). „მაჩაბლისეული“ ნუსხა ს. ყაუხჩიშვილმა შეისწავლა (1942 წ.). იგი გიორგი მაჩაბელს გადაუწერია 1736 წელს. მას ხელში ჩავარდნია მეფე არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრება“. ხელნაწერის ნაკლული ადგილები გადამწერს თავსა და ბოლოში შეუვსია „ქართლის ცხოვრების“ სხვა ხელნაწერის მიხედვით (როგორც დადგინდა, ეს ყოფილა ჭალაშვილისეული ნუსხა). ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H-2135). 1959 წელს აკაკი კლიმიაშვილმა ზემო იმერეთში, ოლღა მაჭავარიანის ოჯახში აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, გადაწერილი 1697 წელს. ანდერძის მიხედვით, მისი დედანი ყოფილა მცხეთაში, სვეტიცხოველში დაცული ხელნაწერი. სავარაუდოდ, სწორედ ეს ხელნაწერია ნახსენები 1546 წლის მცხეთურ გუჯარში. ნუსხის ანდერძი გვაუწყებს, რომ ხელნაწერის შემკვეთი ნიკოლოზ სამეგელი სამების ეპისკოპოსი იყო (სამების ტაძარი გარე კახეთშია სოფელ უჯარმის მახლობლად). იგი ერთადერთია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელი რედაქციის ხელნაწერებს შორის, რომელიც ნუსხურითაა გადაწერილი. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Q-1219).



„ქართლის ცხოვრების“ ზემომოყვანილი ხუთივე ნუსხა „ძველი ციკლის“ თხზულებებს შეიცავს. XVIII საუკუნეებში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვახტანგ VI-ის თაოსნობით, სხვადასხვა ნუსხაზე დაყრდნობით შესწორდა და შეივსო „ქართლის ცხოვრება“ და დაიწერა მისი გაგრძელება - „ ახალი ქართლის ცხოვრება“ . გარდა ამ ნაშრომისა, „ქართლის ცხოვრების“ „ახალი ციკლის“ პირობითად მიჩნეული თხზულებები ვახუშტი ბაგრატიონისა (ს. ყაუხჩიშვილმა მისი შრომა „ქართლის ცხოვრების“ IV ტომში მოაქცია), სეხნია ჩხეიძისა, პაპუნა ორბელიანისა, ომან ხერხეულიძისა (ვახუშტის შრომასთან ერთად) 1854 წ. „ქართლის ცხოვრების“ II წიგნის სახით პეტერბურგში გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა.

ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ „ქართლის ცხოვრება“ თავისი პირვანდელი სახით XI-XII სს-შია შედგენილი. პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს ის მასალა, რომელშიც საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე იყო მოცემული. შემდეგ საუკუნეებში სხვადასხვა დროს დაემატა ჯერ VIII-XII საუკუნეების, შემდეგ კი XIII- XIV საუკუნეთა ისტორია. სწორედ ესენია ე. წ. „ძველი ციკლის“ თხზულებები.


THE HISTORY AND EULOGY OF MONARCHS

You, who let the fishermen triumph over the rhetoricians,
Who through the archangel loosened the tongue of a humble man and made him loquacious,
Straighten out the tongue of a stutterer,
And enable him to tell the story of the monarchs and to eulogize them.

I

When the prophet Moses, who saw God, was unwilling to obey Him – when He wanted to send Moses to the Israelis – Moses referred to his poor oratorical skills; but despite this weakness, he was granted signs that foretold the future.[1] So how can a person, who is unable to speak appropriately of exalted things, be so bold as to embark upon this task, when (Moses), who received the words which he heard in fire, had no hope, though even turning his staff into a serpent and changing the color of his arms, that he could persuade the people to believe in the correctness of his words?[2] Like Solomon, who pronounced wise parables and praised Sulamith,[3] I will blow the trumpet and renounce "the praise of praises" to the one, who came from the seed of Solomon, the one, for whom praise of her glory and Olympian grandeur, and even (the gift of) Solomon, would never be adequate. I mean Tamar, famous among the monarchs, and the glory of the first David, a prophet who admired the work of the Maker of every creature – God – who plainly manifests Himself in the soul and heart of man.[4] His indivisibility and sovereignty is represented within Tamar, who by the furtherance of the true God and the perfect man (Christ) appeared and shone the most perfect among humankind. For she merged the reason of her soul with its origin – Jesus Christ – the light of (God) the Father, who created five senses: sight, hearing, smell, touch and taste. Renouncing her will, she turned her mind into a pleasant garden, and subordinated it to that rock we call Christ.[5]

Tamar was a daughter of parents who had far reaching roots and branches. As a tree can be judged by its fruit, and a fruit by the tree, she was quite in keeping with her famous ancestors – the Davidids, Khosroeids and P'arik'anids.[6] She was a descendant of the one, who by the sower of Nimrod,[7] acquired the domains of the sons of Haos,[8] whom it befits only Homer to praise. How much Plutarch magnified the place of kings in history,[9] and elaborated the words of Alexander. From time

"The Life and Tale of the Bagrationis, MS of Queen Mariam (the beginning of XVIII c.), National Centre of Manuscripts, Tbilisi, S-30, 209 v.

1955-59 წლებში აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცა იმ დროს ცნობილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით კრიტიკულად დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. ამ პუბლიკაციამ დიდი როლი შეასრულა როგორც საერთოდ საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში, ასევე საკუთრივ ძეგლის ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობით შესწავლაში. უკანასკნელი ორმოცდაათწლეულის მანძილზე „ქართლის ცხოვრება“, როგორც საქართველოს ისტორიის უპირველესი წყარო, კვლავ მეცნიერებათა ყურადღების ცენტრშია. დაიწერა არაერთი სპეციალური გამოკვლევა საქართველოში და საზღვარგარეთაც. გამოიცა ძველი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც, გამომცემელთა თქმით, განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის საკითხავ წიგნად. უცხოურ ენებზე ითარგმნა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ცალკეული თხზულებანი {რუსულ (ვლ. ახვლედიანი, გ. წულაია, მზ. შანიძე, მ. ლორთქიფანიძე, კ. კეკელიძე, ვ. დონდუა და სხვ.),ფრანგულ (მ. ბროსე), გერმანულ (გ. პეჩი) და ინგლისურ (ა. ჭანტურია, კ. ვივიენი) ენებზე}. „ქართლის ცხოვრების“ XII საუკუნის სომხური თარგმანი გამოსცა ილ. აბულაძემ 1953წ. ამასთან, როგორც აღინიშნა, აღმოჩნდა ვახტანგ VI-ის წინადროინდელი, ე. წ. „ძველი ციკლის“ დათარიღებული (1697 წ.) ნუსხურად შესრულებული ხელნაწერი. ყოველივე ამან, განსაკუთრებით „ ქართლის ცხოვრებისადმი“ მეცნიერული ინტერესის ზრდამ, ამ უნიკალური ძეგლის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ახალი გამოცემის აუცილებლობა შექმნა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ ამ მიმართულებით მუშაობა გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიურ კვლევასა და ტექსტის კრიტიკულ დადგენაში მონაწილეობდნენ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები – ისტორიკოსები და ფილოლოგები.

ახალი ქართული გამოცემის (2008 წლის) საფუძვლად აღებულია „ქართლის ცხოვრების“ „ძველი ციკლის“ თხზულებათა შემცველი ნუსხები (მარიამ დედოფლისეული, ანა დედოფლისეული, ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული, კლიმიაშვილისეული – პირობითად „მცხეთური“). განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გათვალისწინებულია ვახტანგ VI-ისა და მისი მომდევნო ხანის მოღვაწეთა შრომაც. ტექსტის დადგენისას მხედველობაშია მიღებული ყველა ტექსტუალური ვარიანტი, რომელსაც შინაარსეული მნიშვნელობა აქვს, ასევე – კონიექტურები, რომლებიც ამა თუ იმ ადგილის შესახებ იყო გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთი მუშაობის შედეგად, წინამდებარე გამოცემის ტექსტი ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება წინა გამოცემებისგან. „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის პუბლიკაციამ ქართველოლოგ მკვლევართა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მოვიტანთ ცნობილი სომეხი ქართველოლოგის პ. მურადიანის წერილს: „პატივცემულო ბატონო როინ! უღრმესი მადლობა „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემისათვის. რამდენიმე გვერდი შევადარე მ-ნი სიმონის გამოცემასთან და შევნიშნე არსებული განსხვავება.

მიხარია, რომ ეს ახალი რედაქცია შედგენილია თქვენი რედაქტორობითა და ხელმძღვანელობით. როგორც ჩანს, დროა, შევუდგეთ ახალ სომხურ თარგმანსა და ძველი თარგმანის ახალ გამოცემას. ახალ წარმატებებს გისურვებთ. პ. მურადიანი“.

„ქართლის ცხოვრების“ ინგლისური გამოცემა ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი წარმატებაა. ამასთან აქ ჩანს ის კეთილი დამოკიდებულებები, რაც უცხოელ მეცნიერებთან გვაქვს და თვით წიგნიც ერთობლივი საქმიანობის ნათელი მაგალითია.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

◎ თაობა

16 მედალი — ბაქოდან

საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა ბაქოს ოლიმპიურ სპორტულ ცენტრში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე — „აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე“ 16 მედალი მოიპოვეს.

ოთხდღიანი შეჯიბრება ჭაბუკმა ბერძენ-რომაელებმა გახსნეს. საქართველოს ნაკრების წევრთაგან ყველაზე შედეგიანად ლადო შავაძემ (63 კგ) იჭიდავა — ტურნირი წაუგებლად ჩაამთავრა და ჩემპიონი გახდა. ფინალში მან აზერბაიჯანელი არიფ ნიფტულაიევი 2:1 დაამარცხა. ირაკლი ძიმისტარიშვილი (42 კგ), რომან ლომინაძე (54 კგ) და გიორგი მარშანია (100 კგ) პოდიუმის მესამე საფეხურზე ავიდნენ.

შემდეგ საქმეში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები ჩაერთო და დღე 3-3 ვერცხლ-ბრინჯაოთი და გუნდური მეორე ადგილით დაამთავრა. შმაგი ბოლქვაძეს (66 კგ), ლაშა გობაძესა (84 კგ) და მამუკა დარჩიას (120 კგ) პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად თითო გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდათ, მესამე საპრიზო ადგილები კი გელა ბოლქვაძემ (74 კგ), ნიკოლოზ კახელიშვილმა (96 კგ) და ზურაბ გედეხაურმა (120 კგ) დაიკავეს.

თავისუფალთათვის განკუთვნილი დღეები ჭაბუკებმა გახსნეს და ქართულმა გუნდმა ახალგაზრდა ბერძენ-რომაელების მსგავსად საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა, ოღონდ ამ შედეგისთვის ერთით ნაკლები ვერცხლი ეყო.

რამაზ თურმანიძე (42 კგ) და მექი სიმონია (76 კგ) ფინალში დამარცხდნენ, ხოლო ალექსანდრე ლომინაძე (50 კგ), გოგა მამიაური (58 კგ) და ლევან ინასარიძე (63 კგ) ბრინჯაოებს დასჯერდნენ.

„აზერბაიჯანის ფედერაციის თასი“ გუშინ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდების შეჯიბრით დასრულდა. ქართველთათვის ტურნირის დასკვნითი დღე მწირმოსავლიანი გამოდგა — პოდიუმზე მხოლოდ რამაზ დარჩიძე (55 კგ) ავიდა და ისიც მესამე საფეხურზე. დარჩიძის გარდა რეპეშაჟის ფინალში გიორგი ბრეგაძემ, შოთა ფარტენაძემ (ორივე 60 კგ), ავთანდილ კენჭაძემ (66 კგ) და ირაკლი მწითურმაც (84 კგ) იჭიდავეს, მაგრამ ოთხივემ წააგო და საბოლოოდ მე-5 ადგილებს დასჯერდნენ.

ბეჟან დოლიძე

◎ ფორუმი

ქართველი ძიუდოისტები ევროპირველობაზე გაემგზავრნენ

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უკვე საფრანგეთშია. 24-27 აპრილს ქალაქი მონპელიე ევროპის 2014 წლის ჩემპიონატს უმასპინძლებს და ირაკლი უზნაძის გაწვრთნილი გუნდი ტატამზე საბრძოლო შემადგენლობით გავა. მთავარმა მწვრთნელმა ინდივიდუალური პირველობისთვის განაცხადში 9 შეგირდი შეიყვანა. მათ 2 ძიუდოისტი გუნდური ჩემპიონატისთვის დაამატა.

ქართული დელეგაცია თბილისიდან მარსელში ჩაფრინდა, საიდანაც მონპელიესკენ გზა ავტობუსით გააგრძელა.

24-26 აპრილს ევროპის ჩემპიონ-პრიზიორები მამაკაცთა და ქალთა 7-7 წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან, 27 აპრილს კი გუნდური ევროპირველობა შედგება.

აქვე გაეცნობით საქართველოს ნაკრების შემადგენლობას, რომელსაც გუნდურ ჩემპიონატზე შალვა ქარდავა (66 კგ) და უშანგი მარგიანი (81 კგ) დაემატებიან.

60 კგ — ამირან პაპინაშვილი,
73 კგ — ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი,
81 კგ — ავთანდილ ჭრიკიშვილი,
90 კგ — ვარლამ ლიპარტელიანი და ზვიად გოგოჭური,
100 კგ — გურამ თუშიშვილი,
+100 კგ — ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

გასოლს და რუბიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიხილავთ

ესპანეთის საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა პაუ გასოლმა დაადასტურა, რომ მის სამშობლოში დაგეგმილ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. აღნიშნულის შესახებ „ლოს ანჟელეს ლეიკერსის“ ფორვარდმა AC-თან ისაუბრა.

„ეროვნული ნაკრების მაისურით მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზებ. კალათბურთის თამაშს კიდევ 5 წლის განმავლობაში ვაპირებ და შესაძლოა, „ლეიკერსში“, ეს ჩემი ბოლო დღეებია. ზაფხულში სხვა კლუბების წინადადებებს მოვისმენ და ცხადია, ლეიკერსელებსაც გავესაუბრები“ — აღნიშნა გასოლმა.

შეგახსენებთ, რომ მანამდე ნაკრებისადმი ერთგულება დაადასტურა რიკი რუბიომაც. „თუკი მწვრთნელი გამომიძახებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად ვითამაშებ“, — განაცხადა „მინესოტა ტიმბერვულვზის“ გამთამაშებელმა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ჟოზეს ხელწერით

ამ დღეს ესპანეთის დედაქალაქი 40 წლის განმავლობაში ელოდა. სტაჟიან გულშემატკივარს ემახსოვრება, როგორ დრამატულ ბრძოლაში დათმო „ატლეტიკომ“ ჩემპიონთა თასის 1974 წლის გათამაშების ფინალური მატჩი ევროპული საკლუბო ფეხბურთის მაშინდელ ფლაგმან მიუნხენის „ბაიერნთან“ (1:1 და გადათამაშება — 0:4).

და აი, დიეგო სიმეონეს გაწვრთნილი „თეთრ-წითლები“ კიდევ ერთხელ მიადგნენ სატიტულო რაუნდის ზღურბლს. პლეი ოფის განვლილ ეტაპებზე „მილანისა“ და „ბარსელონას“ დაჩოქების გათვალისწინებით პრიმერადივიზიონის ლიდერს ბევრ მეტოქესთან, ალბათ, გარანტირებული ექნებოდა გამოკვეთილი ფავორიტის სტატუსი, მაგრამ არა „ჩელსისთან“, რომელსაც თვით მაურინიუ თავკაცობს.

„ატლეტიკო“ — „ჩელსი“ 0:0

„არისტოკრატებს“ საკმაოდ ძვირად დაუჯდათ „ვისენტე კალდერონზე“ გაფორმებული სასურველი ზავი — ლაზარეთში გადანაცვლებულ ჩეხსა და ტერის გუნდის კაპიტან ლამპარდის დისკვალიფიკაცია დაემატა, რომელიც მეორე ყვითელი ბარათის გამო „სტემფორდ ბრიჯზე“ გასამართ საპასუხო დუელს გამოტოვებს.

რაც შეეხება „პორტუსა“ და „ინტერის“ შემდეგ მესამე კლუბით ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ფინალში გასვლის პერსპექტივას, მადრიდში ნათამაშევი ფრე საკადრო პრობლემებით დახუნძლულ ინგლისელთა შანსებს ერთიორად ზრდის.

თუმცა, მოდით, ნუ ვიჩქარებთ პროგნოზების გაკეთებისას — პირენეელები ხომ მთელი სეზონის მანძილზე ადასტურებენ საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობას.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

შვეიცარია იტალიას ჟენევაში მიიღებს

დევისის თასის წლევანდელი გათამაშება გადამწყვეტ ეტაპზეა მისული. ნახევარფინალში ერთმანეთს შვეიცარიისა და იტალიის, ჩეხეთისა და საფრანგეთის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. შვეიცარიის ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ნახევარფინალური პაექრობა ჟენევაში, სპორტკომპლექს Palexpo-ში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში როჯერ ფედერერისა და სტანისლას ვავრინკას შემადგენლობით შვეიცარიელებმა დიდი ბრძოლის შემდეგ მოუგეს ყაზახებს (3:2), დევისის თასის მოქმედი ჩემპიონი კი ჩეხეთის ეროვნული გუნდი გახლავთ. ფრანგებისა და ჩეხების დაპირისპირებაში მასპინძლები „სამფეროვნები“ იქნებიან. მატჩის ჩატარების ქალაქი და არენა მოგვიანებით დადგინდება.

ორივე ნახევარფინალური პაექრობა 12-14 სექტემბერს გაიმართება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ საზღაური

მოიესი კომპენსაციის სახით 10 მილიონს მიიღებს

„მანჩესტერ იუნაიტედიდან“ დათხოვნილი დევიდ მოიესი კომპენსაციის სახით 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

მოიესმა, როდესაც სეზონის დასაწყისში მანჩესტერელებს სათავეში ჩაუდგა, კლუბთან 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში მისი ხელფასი დაახლოებით 5 მილიონი გირვანქა იყო.

შოტლანდიელმა თანამდებობა ერთი წელიც ვერ შეინარჩუნა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელები მისთვის დარჩენილი 5 წლის განმავლობაში ხელფასის გადახდას არ აპირებენ.

გამოცემა Daily Mail-ის ინფორმაციით, მოიესის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც დათხოვნის შემთხვევაში 10 მილიონი გირვანქა ეკუთვნის.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

კიუიტის ცოლის თურქული აღიარება

საფეხბურთო კარიერის მიწურულს სათამაშოდ თურქეთში გადაბარგებული ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელის დირკ კიუიტის ცოლი გერტრუდე კიუიტი თურქეთში მცხოვრებ ნიდერლანდელთა სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარე გახდა და იგი ამ თანამდებობაზე რამდენიმე ათასმა თანამემამულემ აირჩია.

გერტრუდე კიუიტი პროფესიით ფილოლოგია და როგორც ნიდერლანდური პრესა წერს, თავის საქმეში არცთუ ცუდად გათვითცნობიერებული ქალია. თუმცა ცნობილი ფეხბურთელების სხვა ცოლების მსგავსად, იგიც გამუდმებით წუხდა იმაზე, რომ პოპულარული ქმრის ჩრდილიდან უბრალოდ ვერ გამოდიოდა და სხვათათვის მხოლოდ „კიუიტის ცოლი“ იყო და მეტი არაფერი.

ამ, მართალია, სიმბოლური, მაგრამ ნამეტნავად საპატიო თანამდებობის დაკავება ქალბატონ გერტრუდეს თავის დამკვიდრებაში ნამდვილად დაეხმარება.

◎ ალიან-ჩალიანი

დათა ახალაიამ საბერძნეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა

ამის შესახებ ახალაიას ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ყველა პროცედურა ხორციელდება, რაც პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნასთან არის დაკავშირებული.

ადვოკატმა რომეო საჯაიასამ კი აღნიშნა, რომ დათა ახალაია ამ დროისთვის საბერძნეთში, შესაბამის დაწესებულებაში იმყოფება.

— ვინაიდან ჩვენს ოჯახზე უკვე წელიწადნახევარზე მეტია ინტენსიურად მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა, ოჯახის თითოეულ წევრზე ხორციელდება არნახული ზეწოლა დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან, დათა ახალაიამ ევროკავშირის ერთ-ერთ სახელმწიფოს მიმართა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით, — წერს „ფეისბუქში“ ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი.

არაკეთილსაიმედო ქვეყნების საწარმოთა ინსპექტირების ახალი ტარიფები ამოქმედდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, საქართველოს მთავრობის №59 დადგენილებით, სურსათის ეროვნული სააგენტოს წინასაიმპორტო ვეტერინარულ-ინსპექტორული კონტროლის განხორციელების ვადები და საფასური შეიცვალა.

— მიმდინარე წლის 21 აპრილიდან, დაინტერესებული მხარის მოთხოვნით ჩატარებული ინსპექტირების ღირებულება არაკეთილსაიმედო ქვეყნების საწარმოებში განისაზღვრება შემდეგი ტარიფებით: სომხეთსა და აზერბაიჯანში — 1600 აშშ დოლარი; რუსეთში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში — 2500 აშშ დოლარი; აზიაში — 8000 აშშ დოლარი; ჩრდილოეთ აფრიკაში — 5000 აშშ დოლარი; სამხრეთ აფრიკაში — 6000 დოლარი; ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში — 8000 აშშ დოლარი. წინასაიმპორტო ვეტერინარულ-ინსპექტორული კონტროლის განხორციელების ვადა 6 თვიდან 1 წლამდე გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული საწარმოებიდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის მიზანშეწონილად მიჩნევისას, იმპორტი შეიძლება განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში, ნაცვლად 6 თვისა, — აცხადებენ სააგენტოში.

ინტერპრესი

სანთელი

გალინა ონიშჩენკო-მეძმარიაშვილის გახსენება

ტკივილით აღსავსე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენმა სიყვარულიანმა გულმა ათწლიან შემოტევას ვეღარ გაუძლო და გიმტყუნა, ჩვენო ძვიფრასო!

ვიცოდით, ბოლო დროს უფრო მეტად გიჭირდა, მაგრამ უწინდელივით, შენი სითბოთი, მზრუნველობითა და სტუმართმოყვარეობით იყო გამთბარი ჩვენი დიდი ოჯახი. მისი დიასახლისი — სიკეთითა და ნიჭით აღსავსე, უკრაინელი კაზაკის ქალიშვილი, უკრაინულ-ქართული ხელგაშლილობით ეგებებოდი სტუმრებს.

ჩვენს ოჯახში, თბილისში, შენს ირგვლივ ხშირად იკრიბებოდნენ დოდო და თამარ ალექსიძეები, ნიტა ტაბიძე, ეთერ კაკაბაძე-ანდრონიკაშვილი, თენგიზ აბულაძე, ნინა უჩანეიშვილი, ეთერ გუგუშვილი და სხვა მრავალნი. ამ შეკრებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი შენ იყავი.

განათლებით ინჟინერს, ჩინებულ ჟურნალისტს (საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრს 1970 წლიდან) და პოეტს მეგობრებიც ისეთი გყავდა, დღესაც გვეამაყება მათი ახლობლობა. ჩვენი ოჯახის მოსკოვში გადასვლის შემდეგ რამდენი სასიამოვნო საღამო გატარებიათ შენს ლიტერატურულ სალონში ანასტასია ცვეტაევას, ბელა ახმადულინას, ბორის მესსერერს, ევგენი ევტუშენკოს, ირინა არხიპოვას, ნატაშა სელეზნევას, ვლადიმერ ანდრეევს, სერგი გერასიამოვს, თამარა მაკაროვას, ოლგა არაოსევას, ანატოლი პაპანოვს და მრავალ სხვას.

ეს შეხვედრები იყო დღესასწაული ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხელოვანებისათვის.

დიდხანს, გვიანობამდე, გრძელდებოდა ხოლმე საუბრები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ურთიერთსიყვარულზე. ასეთი შეხვედრების მონაწილენი იყვნენ ვლადიმერ მაიაკოვსკის ქალიშვილი პატრიცია ტომპსონი, მარიკა პეშკოვა, დიდი ფეოდორ შალიაპინის ვაჟი ფეოდორ შალიაპინი-უმცროსი, ცნობილი რუსი მეცენატის სავვა მაროზოვის შვილიშვილი სავვა მაროზოვი-უმცროსი.

თბილისსა და მოსკოვში გამართული შეხვედრები ხიდი იყო ქართველი, რუსი, უკრაინელი ხელოვანების, მწერლების და პოეტებისთვის, ბევრი მათგანი ერთმანეთს შენმა ლიტერატურულმა სალონმა დააკავშირა.

ოჯახში სათუთად ვინახავთ თბილისიდან მოსკოვში შენს სახელზე გამოგზავნილ დეპეშას: **„შენ ჩვენთვის ღმერთების ჯილდო ხარ. ნიტა ტაბიძე“.**

ვეფერებით იმ ალერსიან სიტყვებს, რომლებიც რუსეთის სახალხო-სამხატვრო ფონდის პრეზიდენტმა — ეველინა ოსტროვსკაიამ მოგიძღვნა: **„როგორ გადმოვცე ზუსტად ის, რაც გვაკავშირებდა? ჩვენს შორის ბრძანდებით, მე „ჭყინტი“, რომელიც მადლიერებით ვისრუტავ ყოველივეს, რასაც თქვენგან ვისმენ და რასაც ასე გულუხვად მიზიარებთ“.**

შენმა დაუშრეტელმა ცნობისმოყვარეობამ შემოგატარა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა.

შენი სითბო — ყოველდღიური ჩანაწერებით სავსე ათეულობით რვეული უძვირფასესი განძია ჩვენი ოჯახისათვის. ეს დღიურები ჩვენი ცხოვრების საინტერესო ფაქტების გახსენების, ნოსტალგიური ცრემლებისა და მხიარული მოგონებების წყაროდ იქცა.

დიდი დაღესტნელი პოეტის რასულ გამზათოვის ერთი ტაეპის პერეფრაზია — **„თუკი ჩაქრება ეს ჩემი კოცონი, მე კი არა, ისინი შეიბრალეთ, ვინც მისი სითბოთი ბევრჯერ გამთბარა!“**

ჩვენ გვეკუთვნის ეს სიტყვები, უშენოდ ჩამქრალ კოცონთან მსხდომთ, ჩვენო ძვირფასო!

იყავ ნათელში!

მეუღლე ნოდარი, შვილები გიორგი, ალექსანდრე, რძლები ლენა, ნატო, შვილიშვილები ნატო, ლიზა, ნიკუშა, ელენე მეძმარიაშვილები, შვილთაშვილი გიორგი აბაშიძე, ნათლულები ვიქტორია სოროკინა, გიორგი მარგველაშვილი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს/ს „ხაბაზი 2001“ იწვევს აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება მ/წლის 17 მაისს შაბათს დღის 15 საათზე, ს/ს „ხაბაზი 2001“-ის იურიდიულ მისამართზე — რუსთავი, მე-8 მკრ 10/65, შემდეგი დღის წესრიგით:

1. ს/ს „ხაბაზი 2001“-ის წლიური ანგარიში;
2. ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩევა.

„ხაბაზი 2001“-ის სამეთვალყურეო საბჭო

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;
568 82-09-84.

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის, კეთილშობილი, კაცთმოყვარე პიროვნების

ქეთევან ცობეხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

◎ ჩვენი კარაბადინი

თუ ნაწლავი ბრაზობს

გასტროენტეროლოგთა ევროპის საზოგადოების მონაცემებით, გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის სინდრომით (გკს) დედამიწის მოსახლეობის 10-დან 20 პროცენტამდე იტანჯება. რა იწვევს „დათვის“ ავადმყოფობის გამწვავების პროვოცირებას და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?

იმისთვის, რომ ვუპასუხოთ ამ შეკითხვას, შეგახსენებთ, რომ:

● გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის სინდრომი არის არა დაავადება, არამედ ფუნქციონალური მდგომარეობა, რომელიც უჩნდება ზოგიერთ ადამიანს სტრესის პასუხად და ვლინდება არამყარი კუჭის მოქმედებით (ხშირად კუჭის აშლილობით, ზოგჯერ — ყაბზობით), მეტეორიზმით და ტკივილებით სხვადასხვა ლოკალიზაციის მუცელში. გკს-ის გამწვავების პროვოცირება ასევე შეუძლია მოახდინოს უწესრიგო,არარეგულარულმა კვებამ ცხარე, ცხიმიანი საკვებით, რომელიც იწვევს საკვების გაზის წარმოქმნას (პარკოსნები, კომბოსტო, ტკბილეული), აგრეთვე კვების ჩვეულებრივი ხასიათის შეცვლამ მოგზაურობის დროს.

● „დათვის“ ავადმყოფობა შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზულ დაავადებათა — კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი სიმსივნეების, არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტის, კრონის დაავადების — სიმპტომი. ამიტომ ამ სიმპტომების გამოვლინების დროს აუცილებელია, გავიაროთ კოლონოსკოპია (მსხვილი ნაწლავის შიდა გარსის ენდოსკოპური გამოკვლევა მის მთელ სიგრძეზე), რექტომანოსკოპია (სწორი ნაწლავის ბოლო 15-20 სანტიმეტრის გამოკვლევა სპეციალური აპარატის დახმარებით) ან ირიგოსკოპია (მსხვილი ნაწლავის რენტგენი კონტრასტული ნივთიერებით).

● გკს-ს სპეციფიური მკურნალობა არა აქვს. მასთან ბრძოლის ტაქტიკა — სიმპტომატური თერაპიაა: სპაზმოლიტებით (მუცელში ტკივილების დროს), ვეტროგონებით (მეტეორიზმისა და მუცლის შესივების დროს), გამამაგრებელი (კუჭის აშლილობის) ან შემამსუბუქებელი (ყაბზობის დროს) საშუალებებით, აგრეთვე განგაშსაწინააღმდეგო პრეპარატებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, მოვახდინოთ სტრესების დამანგრეველი მოქმედების ნიველირება.

● გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის სინდრომი შეიძლება გამოიწვიოს დისბაქტერიოზმა. კუჭ-ნაწლავის მოტორიკის დარღვევას პათოგენური ბაქტერიების ზედმეტ ზრდასთან და ნესტიანი ფლორის უკიდურეს მატებასთან მივყავართ. ამიტომ გკს-ის დროს ვერ გადავრჩებით ბიოტიკების, საფირმო, აუცილებლობის შემთხვევაში კი — ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატების გარეშე.

● გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის დამშვიდებაში დაგვეხმარება დიეტა, რომელიც გამორიცხავს ნედლ ბოსტნეულსა და ხილს, პარკოსნებს, შებოლილ კერძებს, ყავას, შოკოლადს, გაზიან სასმელებს (კუჭის აშლილობის დროს), აგრეთვე ცხიმიან ხორცსა და თევზს, ხიზილალას, კონსერვებს, ცხიმიან ბულიონებს, ბოლოკს, ნიორს, სოკოებს (ყაბზობის დროს). თანაც უმჯობესია ვჭამოთ დღეში 4-5-ჯერ და მცირე პორციებით.



დიდი მწუხარებით ვაცნობებთ ქართველ ერს, რომ 2014 წლის 27 მარტს ვაშინგტონში, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენელი, ღირსეული ქართველი მამულიშვილი ბატონი

პეტრე ხვედელიძე

მისი ნეშტი მშობელ მიწაში ჰპოვებს სამუდამო განსასვენებელს, სული კი ზეციურ საქართველოში დაიმკვიდრებს ადგილს.

პანაშვიდი 25 IV, 16 სთ. დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა 26 IV, 15 სთ. დიდუბის პანთეონში.

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი
რუსუდან კობახიძე

◎ ინფორმაცია

სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი ჩააბარეს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონულ სამმართველოებში ამავე

რაიონების სხვადასხვა სოფელში მცხოვრებმა ცხრამეტმა მოქალაქემ წარმოადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა 3987 საბრძოლო ვაზნა, 10 ცეცხლსასროლი იარაღი, სხვადასხვა სახეობის 227 ცალი ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი.

დაიჯესტი

პირველი ფოსტის ყუთი

პირველი ფოსტის ყუთის გაჩენის ზუსტი თარიღის დადგენა ამჟამად, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მეტად მორიდებული და ძნელად შესაცვლელი ნივთის ისტორია ხუთ საუკუნეზე მეტი ხნისაა.

1500 წელს პორტუგალიელი ზღვაოსანი ბართოლომეუ დიაში, რომელმაც მანამდე ათი წლით ადრე კეთილი იმედის კონცხი აღმოაჩინა, სამხრეთ აფრიკის ნაპირებთან საშინელ ქარიშხალში მოყვა. აბობოქრებულ ტალღებში ერთის გარდა ყველა ხომალდი და მისი მეზღვაური, მათ შორის თავად დიაშიც დაიღუპა. გადარჩენილებმა სამშობლოში დაბრუნება რომ გადაწყვიტეს, ერთ-ერთმა ოფიცერმა მომხდარი ამბავი აღწერა, ბარათი ჩექმაში ჩადო და ხეზე ჩამოკიდა.

ერთი წლის შემდეგ ზუსტად იმ გზით ინდოეთში სხვა პორტუგალიელი მეზღვაური ჟუან და ნოვა გაემგზავრა, რომელიც ნაპირს ზუსტად იმ ადგილას მიადგა, სადაც ხეზე ბარათიანი ჩექმა ეკიდა. მან წერილი წაიკითხა და იმ ადგილას პატარა ეკლესია ააგო. მალე საყდრის მახლობლად დასახლებაც გაჩნდა, ის ჩექმა კი საფოსტო ყუთის როლს ასრულებდა. ახლა იქ, მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ფოსტის ყუთს, ჩექმის ფორმის ძეგლი დაუდგეს.

ეს საშიში მაცივრები

ბიოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ მაცივრებში ადამიანის ჯანმრთელობისთვის მეტად საშიში ბაქტერიები ბუდობენ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მეტ-ნაკლებად საშიში ბაქტერიების გარდა, მაცივრებში ასევე შეიძლება ბინადრობდნენ ნაწლავის ჩხირები, სალმონელა, ლისტერია და სხვ. აღსანიშნავია, რომ ხილ-ბოსტნეულის შესანახ განყოფილებებში ბაქტერიების რიცხვი ნორმას ზოგჯერ 750-ჯერ და მეტად აღემატება. საფრთხის თავიდან ასაცილებლად სპეციალისტები დიასახლისებს მაცივრის დროდადრო საგულდაგულოდ გაწმენდას ურჩევენ.

ცხოველთა უცნაურობანი

ცხოველთა სამყარო გასაოცარი სექსუალური ურთიერთობებითაა გამორჩეული, თუმცა კი აქაც რამდენიმე განსაკუთრებული „რეკორდსმენია“.

მაგალითად, ლომები დღე-ღამის მანძილზე ერთმანეთს 50-ჯერ და მეტადაც ერწყმიან, ხოლო ვირთაგვებს კი ერთ საათში...122 სექსუალური აქტის ჩატარება შეუძლიათ! ამასთან, ფაუნის წარმომადგენლებს ბევრი სხვა, ადამიანისთვის მეტად უჩვეულო თვისება აქვთ. მაგალითად, ზვიგენებს არასდროს არ სძინავთ, გამუდმებულად მოძრაობენ და ასეულობით მეტრზე სისხლი რომ იგრძნონ, ამისთვის საკმარისია წყალში გრამის ერთი ასმემილიონედი ნაწილი მოხვდეს! დელფინებს კი, სულაც, ძილში მხოლოდ... ცალი თვალი აქვთ დახუჭული.

იაპონელთა „პური“

საშუალოდ იაპონელი დღეში 150 გრამ ბრინჯს მიირთმევს. ამასთან, იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ბრინჯს თავად მდიდრული გემო აქვს, ამიტომ მასზე შაქრის, მარილის ანდა სანელებლების მოყრა საჭირო არ არის.

ბრინჯის მომზადების იაპონური რეცეპტი საკმაოდ მარტივია. მას რეცხავენ, 1:1-ზე პროპორციით წყალს ასხამენ და ნელ ცეცხლზე წყლის ამოშრობამდე ხარშავენ. შემდეგ ბრინჯს ცოტა ხანს აჩერებენ და სუფრაზე გამოაქვთ. ამის წყალობითაა, რომ იაპონური ბრინჯი კი არ იფშვნება, არამედ წებოვანია.

იაპონელებისთვის ბრინჯი იგივეა, რაც ჩვენთვის პური. იაპონური ეტიკეტით ბრინჯი შემდეგნაირად უნდა მიირთვათ: ჯამი ცალი ხელით დაიჭიროთ, მეორეთი კი — ჩხირები. ტრადიციული იაპონური ჭურჭელი საგანგებოდ ისეა დამზადებული, რომ მისი ცალი ხელით დაკავება მოხერხებულია. ბრინჯიანი ჯამი კი მკერდის დონეზე უნდა გეკავოთ.

ისევ ცხოვრების ფხიზელი წესი სჯობს, ჩემო...

სპირტიანი სასმელების ჭარბი მოხმარება ასუქებს, ამასთან ალკოჰოლი მადას თრგუნავს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახეობის სასმელს მიირთმევთ — მაგარს თუ სუსტს.

სუსტ სპირტიან სასმელებს ყველა ის განეკუთვნება, რომლის სიმაგრე 20 გრადუსზე ნაკლებია — ლუდი, ღვინო, შამპანიური, კოქტეილი. ასეთი სასმელები კუჭის წვენის გაძლიერებულ გამომუშავებას იწვევენ, რის შედეგად, ცხადია, კაცი მადაზე მოდის, ამიტომ მეტსაც ჭამს და სუქდება.

მაგარი ალკოჰოლიანი სასმელები კი — არაყი, კონიაკი, ვისკი მადას თრგუნავენ, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი მსმელი ადამიანი წონაში მოიკლებს. თავისთავად ალკოჰოლი საკმაოდ კალორიულია — გრამი სპირტი 7 კილოკალორიას შეიცავს. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ გრამ ცხიმში 9 კილოკალორიაა, გრამ ცილასა და ნახშირწყლებში — 4-4. 100 გრამი არაყი 40 გრამ სუფთა სპირტს შეიცავს, ანუ მასში 280 კილოკალორიაა. ეს დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც ნახევარ ფილა რძის შოკოლადში. ამასთან, საგულისხმო ისაა, რომ ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებს ალკოჰოლი არ შეიცავს.

ყველაფერთან ერთად, ალკოჰოლის რეგულარულად მომხმარებლების ორგანიზმში მაღალია ქოლესტერინის ერთ-ერთი ნაირსახეობის ტრიგლიცერიდემის შემცველობა. თუ ადამიანის ორგანიზმში მისი დონე მაღალია, მაშინ გახდომის მსურველი კაცი, რომელიც თავს საჭმელში იზღუდავს, მხოლოდ კუნთოვან, ზოგჯერ ძვლოვან მასასაც კი კარგავს, თუმცა, ქონი ძველებურად „ადგილზე“ რჩება. ამიტომაა, რომ ალკოჰოლის ტრფიალთ უცნაური ტანი აქვთ ხოლმე — წვრილი ხელ-ფეხი და გადმოგდებული ღიპი.

მედიცინა

ტრავმატიზმი ციფრებსა და ფაქტებში

ტრავმატიზმს უწოდებენ იმ ტრავმების ერთობლიობას, რომლებიც ჩნდება მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფში დროის გარკვეულ მონაკვეთში.

20-49 წელი — ტრავმატიზმის პიკია მამაკაცებში, 30-59 წელი ქალებში, თანაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი მამაკაცებში მნიშვნელოვნად მაღალია.

შრომისუნარიანი ასაკის პირთა გარდაცვალების მიზეზთა შორის პირველი ადგილი ტრავმებს ეკუთვნის.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მრავალ განვითარებულ ქვეყანაში 50 პროცენტით შემცირდა ბავშვების სიკვდილიანობა ტრავმების შედეგად.

260 ათასზე მეტი ბავშვი იღუპება ყოველწლიურად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად. საგზაო ავარიებია 10-დან 19 წლამდე ასაკის ბავშვთა შორის გარდაცვალების მთავარი მიზეზი.

დღეში 1000-მდე ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა შეიძლება ავიცილოთ თავიდან ტრავმატიზმის თავიდან აცილების შემოწმებული ზომების მიღების დახმარებით.

ბავშვებში ტრავმების 90 პროცენტი — შემთხვევითი ინციდენტების შედეგია.

ყველაზე არაჩვეულებრივ სპორტულ ტრავმად ითვლება სპორტსმენის თავში სხვისი კბილის აღმოჩენა. ბრიტანეთის რაგბის ლიგაში თამაშის დროს ორი მოთამაშის შეტაკებისას, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ერთ მოთამაშეს კბილი მოსძვრა და მეორე მოთამაშის თავის ქალაში გაიჩხირა.

მსოფლიოში ყოველწლიურად საწარმოო ხასიათის 270 მილიონი უბედური შემთხვევა აღინუსხება.

მრეწველობის ყველაზე ტრავმასაშიშ დარგებად ითვლება მანქანათმშენებლობა, ქიმია, ტრანსპორტი, მეტალურგია, ენერგეტიკა და აგროსამრეწველო კომპლექსი.

10 000-ზე მეტი ამერიკელი ღებულობს ყოველწლიურად ტრავმას სექსუალური ექსპერიმენტების დროს. გაწაფულ და არაჩვეულებრივ პოზებს ადამიანები ჩვეულებრივად საავადმყოფომდე მიჰყავთ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

ცინცხალი ანეკდოტები

მიხო გატიალებული მთვრალი ბრუნდება სახლში. ზარს რეკავს. კარს აღებს სიდედრი, რომელსაც ცალ ხელში ცოცხი უჭირავს.

— რაო, დედიჯან, სახლს ვალაგებთ თუ გასაფრენად ვემზადებით?

* * *

სოფელში დილაა. იღვიძებს ეზო. დიასახლისი ეზოში ფუსფუსებს.

იღვიძებს ძროხა.

— რაო, ლამაზო, კურო გინდა?

იღვიძებს ღორი.

— რაო, ღრუტუნა, ტახი გინდა?

იღვიძებს დიასახლისის გოგო.

— დილა მშვიდობისა, შვილო.

— ჰო, დედი! ძროხას — კურო, ღორს — ტახი, მე კი — „დილა მშვიდობისა?!“

* * *

საფრანგეთი. პარიზი. ტიპი შედის აფთიაქში.

— თუ შეიძლება, მომეცით შავი პრეზერვატივი.

— რატომ მაინცდამაინც შავი?

— იცით რა, ჩემს საყვარელს ქმარი მოუკვდა...

— ო, მუსიე! რაოდენ დახვეწილი ჟესტია...

* * *

მივიდა აბრამი ძმისწულების მოსანახულებლად.

— აბრამ ბიძია, რა მოგვიტანე?

— ხვალ მოგიტანთ, ბავშვებო, შოკოლადს!

— რა კარგია, რა კარგია! — ყვირიან ბავშვები.

მეორე დღეს კვლავ მივიდა აბრამი, ისევ შემოეხვივნენ ბავშვები:

— აბრამ ბიძია, მოგვიტანე კანფეტი?

— არ იყო, ბავშვებო, შოკოლადი, მარტო ირისი ჰქონდათ.

— ეჰ, მოგეტანა ირისი! — წუწუნებენ ბავშვები.

— კარგი, ხვალ ირისს მოგიტანთ!

— რა ჰქენი აბრამ ბიძია, მოგვინატე ირისი? — შემოეხვივნენ ბავშვები ბიძას მეორე დღეს.

— არა, ბავშვებო, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ მხოლოდ შოკოლადს შეჭამთ...

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24